4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ** - სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, რასაც მოწმობს 2024-2025 სასწავლო წლის პედაგოგიური საბჭოს N1 ოქმი, რომლის მიხედვითაც სასკოლო სასწავლო გეგმა შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ (სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია სკოლის მისია). გარდა ამისა, სკოლას შემუშავეებული აქვს მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. დოკუმენტში გაწერილია ის მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც მოხდება სკოლაში დოკუმენტების გაზიარება. კერძოდ, ელექტრონული ფოსტების, დოკუემნტების ელექტრონული ბრუნვის სისტემის eFlow-ს, საჯარო ღონისძიებების - ინტერაქციული ორმხრივი კომუნიკაციის საშუალებით აუდიტორიასთან, ბეჭდვითი - მატერიუალური მასალებისა და სკოლის Facebook გვერდის საშუალები ხდება და მოხდება.სკოლის ჰოლში გამოკრულია სკოლის მისისა, შინაგანაწესი და სხვდასხვა დოკუმენტაცია. აღნიშნულიდან გამოდინარე ნათლად ჩანს, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი** - სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი როგორც სასკოლო საზოგადოების, ასევე ნებისმიერი სხვა დაინტერესებული პირისთვის. იგი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას (სკოლის საიტზე, სკოლის ჰოლში, საინფორმაციო დაფაზე) ასევე გაზიარებულია სკოლის ვებ გვერდზე და Facebook - ის გვერდზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს** - საქართველო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების

შესახებ "ბრძანებით სკოლის სახელწოდებად განსაზღვრულია: სსიპ – სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლა. შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N1, 2025 წლის 7 სექტემბერი;
- სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის თვითშეფასების კითხვარი.
- სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 2 სექტემბრის 2-14 ბრძანება „სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარებაზე მომუშავე ჯგუფის დამტკიცების შესახებ;
- სკოლის დირქტორის ბრძანება, „სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის" დამტკიცების შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს - სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 2 სექტემრის 2-13 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს: სტრაგიული დაგეგმვის პროცესს, სტრატეგიული დაგეგვისა

და განვითარების პროცესში ჩართულ მხარეებს, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესთან დაკავშირებულ ძირითად მიდგომებს, საზოგადოებასთან განვითარების მექანიზმებს, სამუშაო ჯგუფის ფორმირებასა და შემადაგენლობას, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიას სამოქმედო გეგმაში ცვლილებებს, მისიაში, ხედვასა და ღირებულებებში, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილებების შეტანასა და გაზიარებას, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას. აღნიშნული დოკუმენტაციის ანალიზისას გამოიკვეთა, რომ სკოლის სტრატეგიული განვითარების შემუშავების მეთოდოლოგია განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და პრიორიტეტებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

2.

სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს - სკოლას დამკიცებული აქვს სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე ჯგუფი (დირექტორის 2025 წლის 2 სექტემბრის ბრძანება N2-14), გარდა ამისა სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული გეგმა რომელიც შვიდწლიანია (2025-2032 წლები) და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს და სკოლის SWOT ანალიზს. სტრატეგიული გეგმის პროექტში განხილულია სხვადასხვა მიმართულება - სტრატეგიული მიზნები, შესაბამისი ამოცანები და შესრულების პერიოდი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას - სკოლის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი (2025-2026 სასწავლო წლის). სამოქმედო გეგმაში გაწერილია ის მიმართულებები, რომლის მიხედვითაც გეგმავს სკოლა მუშაობას ერთი წლის განმავლობაში. მაგალითად, 1. სკოლის დოკუმენტაციის შემუშავება, სკოლის ორგანიზაციული განვითარება. 2. სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება. 3. სკოლის მმართველობაში დემოკრატიული კულტურის დამკვიდრება. 4. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება და სკოლის კომპიუტერიზაცია. 5.სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, განვითარება და აღჭურვა. 6. სკოლის აღჭურვა სასწავლო რესურსებითა და სწავლების ხელშემწყობი სხვა საშუალებებით. სკოლის ერთწლიანი გეგმა ეფუძნება სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმას და მასში გათვალისწინებულია 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი გეგმის მონიტორინგის და სკოლის თვითშეფასების საკითხები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია - სკოლის განვითარების ერთწლიან გეგმაში მოცემულია სტრატეგიული მიზნები და ამოცანების შესაბამისი აქტივობები. მაგალითად, სკოლის დოკუმენტაციის შემუშავება, სკოლის ორგანიზაციული განვითარება, ამის შემდეგ მოცემულია კონკრეტული აქტივობების ნუსხვა ამ მიზნის მისაღწევად. მაგალითად, სკოლის დოკუმენტაციის: სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება, შემდეგ განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები და ვადები. თითოეული აქტივობისთვის განსაზღვრული ვადები რეალისტურია, აღნიშნულ დოკუმენტში ნათლად არის წარმოდგენილი გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი #2 02.10.2025
- სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს** - სკოლამ ავტორიცაზიის ექსპერტთა ჯგუფს ვიზიტისას წარუდგინა სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი. აღნიშნული დოუმენტი დამტკიცებულია სკოლის დირქტორის მიერ 2025 წლის 2 სექტემბერს. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს: სტრატეგიული დაგეგმვის ქვეპროცესებს; სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესში ჩართულ მხარეებს; სტრატეგიული დაგეგმვის პროცესთან დაკავშირებულ ძირითად მიდგომებს; გაზიარების მექანიზმებს; სამუშაო ჯგუფის ფორმირებასა და შემდგენლობას; სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიას, მისიაში, ხედვასა და ღირებულებებში, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილებების შეტანა და გაზიარება; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება; **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**
2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით** - სკოლას სტრატეგიული დაგეგმარების მეთოლოგიაში გათვალისწინებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობა, გეგმების გაზიარება და უკუკავშირის მიღება. ინტერვიუერებისას, სკოლის ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ სასწავლო წლის ბოლოს ტარდება შემაჯამებელი ღონისძიება, და სკოლა ამ ღონისძიებაზე აკეთებს შესრულებული სამუშაოების რეზუმერიბას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**
3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა** - სკოლის ადმინისტრაციის განმარტებიით, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა და ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს (მაგ: სასკოლო პროექტის სახით, რომელიც გასულ წელს განხორციელდა სკოლაში, დასკვნითი და შემაჯამებელი აქტივობები გამოიფინა სკოლის დერეფნებში, პრეზენტაციებზე დასწრება ღიაა თემში შემავალი

ყველა დაინტერესებული პირისთვის. აღნიშნული აქტივობის (პროექტის) მიმდინარეობის ამსახველი ფოტო მასალა გამოქვეყნდა სკოლის facebook გვერდზე; **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის** - სკოლის დირექტორის, გასული სასწავლო წლის ანგარიში მრავლამხრივია და მოიცავს ძირითად საკითხებს, მოსწავლეებს მათ შედეგებს, პედაგოგებსა და მათ შედეგებს. ანგარიში შემუშავებულია საგნობრივი კათედრების ანგარიშების ანალიზის საფუძველზე. ანგარიშების საფუძველზე შესაძლებელია ვთქვათ, რომ სკოლის შემდგომი განვითარებისათვის, მას (სკოლას) აქვს მზაობა, მომავალ პრაქტიკაში დაგეგმოს და გამოიყენოს გასული სასწავლო წლის შედეგების ანალიზის. ამასთანავე, რადგანაც სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, შესაძლებელია აღნიშნული კრიტერიუმი მივიჩნიოთ დაკმაყოფილებულად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 2 სექტემბრის ბრძანება 2-14 „სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიულ დაგეგმარებაზე მომუშავე ჯგუფის დამტკიცების შესახებ“;
- სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 2 სექტემბრის ბრძანება 2-13 „სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული ;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული – სკოლამ წარმოადგინა სკოლის სტრუქტურა, ასევე საშტატო განრიგი, რომელიც შემუშავებულია დირექტორის მიერ და შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. წარმოდგენილი საშტატო განრიგის მიხედვით სკოლაში დასაქმებულია: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, მასწავლებლები, ასევე, სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში მომუშავე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა ნუსხის მიხედვით სკოლაში დასაქმებულია, დარაჯი და დამლაგებელი. დასაქმებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულია კონკრეტული ფუნქციები. სკოლაში ფუნციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვიმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მრჩეველთა საბჭო. სკოლა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობასა და მათ შორის კოორდინაცისთვის ხელმძღვანელობს ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის და და ,,საჯარო

სკოლის წესდების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N 448 ბრძანების მიხედვით და თანაშმრომლებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით, სადაც გაწერილია მათი უფლება-მოვალეობები. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც ნათლად არის აღწერილი სამუშაოს აღწერილობის დოკუმენტის ტიპი, პერსონალის ფუნქციები მკაფიოდ არის განსაზღვრული. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას - თანამშრომლების საქმიანობის აღმწერი ფუნქციები, რომელიც შრომითი ხელშეკრულების ნაწილია და შინაგანაწესის დანართი, განსაზღვრავს თითოეული დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობებს, რომელიც თავის მხრივ ხელს უწყობს სტრუქტურული ერთეულების და დასაქმებულების საქმიანობის განხორციელებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის საშტატო ნუსხა;
- სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში მომუშავე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა ნუსხა;
- სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;
- სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის დისციპლინური კომიტეტის დამტკიცების ოქმი;
- სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი,

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად** - სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით არის დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმნეტით რეგულირდება პერსონალის მართვის პროცესები; **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**
2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა** - სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. დოკუმენტში, ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით გაწერილია სხვადასხვა მნიშვნელოვანი პუნქტი. წარმოდგენილია პერსონალის არყოფნის შემთხვევაში მისი ჩანაცვლების მექანიზმები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**
3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით** - სკოლას აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, აღნიშნულ დოკმენტში გაწერილია სკოლაში ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის გამოცხადების წესი, რომელიც შემუშავებულია „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების

შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებსა და დირექციის წარმომადგენლებს აქვთ ცნობები ნასამართლეობის შესახებ. ცნობები „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ და „უფლების ჩამორთმევის შესახებ; **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას** - სკოლაში დასაქმებული მასწავლებლების შერჩეულნი არიან „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების შესაბამისად. აქედან გამომდინარე მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებული თანამდებობის კვალიფიკაციას. რაც შეეხება სხვა პერსონალის კვალიფიკაციას, სკოლას ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილი აქვს პესონალის კვალიფიაცია, პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებსა და კონკრეტული პოზიციის დასაკავებლად დამატებით გაწერილ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა მხრიდან გადამოწმდა პერსონალის კვალიფიკაციები , რაც სრულ შესაბამისობაშია საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან მიმართებაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს** - სკოლის მართვა თანამონაწილეობრვია. მასში მონაწილეობას იღებს სასკოლო საზოგადოება (დირექცია, ადმინისტრაცია და თანამშრომლები. ორგანიზაციული კულტურის განვითარებას ხელს უწყობს სკოლაში განხორციელებული სხვადასხვა პროექტი. ასევე, პედაგოგიური საბჭოს მუშაობა, სამეურვეო საბჭოს შეხვედრები და სხვა. ასევე სხვადასხვა პროექტით, გუნდებით ჩანს, რომ წახალისებულია სასკოლო კულტურა; **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი** - სკოლის შენაგანაწესის მიხედვით, სკოლას აქვს დადგენილი თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები: მადლობის გამოცხადება, ფულადი პრემია და სხვ. ასევე სკოლას, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტშო გაწერილი აქვს თანამშრომლეთა მოტივაცია, რაც გულისხმობს თანამშრომელთა წარმატებული გამოცდილების აღიარებას. ხოლო წარმატებული პროაქტიკის გაზიარების

მიზნით კათედრები წარადგნენ კანდიდატურას, რაც ნიშნავს იმას, რომ კათედრის წევრები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და შემდეგ ხდება მათი წარდგენა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
- სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის შრომითი / მომსახურების ხელშეკრულებები;
- სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის პერსონალის პირადი საქმეები;
- სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები** – სკოლას მასწავლებლის საჭიროების დადგენის მექანიზმად წარმოდგენილი აქვს გაკვეთილზე დაკვირვების რუბრიკა, გაკვეთილის გეგმის შეფასების სქემა. სკოლას ასევე ჰყავს ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის ფუნქციებში შედის მასწავლებელთა მუდმივი დაკვირვება და განმავითარებელი უკუკავშირი. ასევე პერსონალის შეფასების და მათი პროფესიულ მხარდაჭერის კუთხით, სკოლას დაგეგმილი აქვს, შეფასებისა და წახალისების მიზნით, შექმნას ჯგუფი, რომელიც შეაფასებს ადამიანური რესურსის მუშაობას, საქმიანობას და წახალისების ინიციატივით მიმართავს სკოლის დირექტორს; სკოლას აქვს გაწერილი პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

ინდიკატორი შესაბამისობაშია;

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად** - სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც აირეკლება პერსონალის განვითარების გეგმა. სკოლა ასევე გეგმავს დანერგოს ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის საჭირო აქტივობები, ტრენინგები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას** - სკოლის მიერ წარმოდგენილ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ამოცანები. სკოლის პერსონალის გადამზადება ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ხარისხის ზრდას და სკოლის განვითარებას. ამასთან დაკავშირებით სკოლა მასწავლებლებს

აწვდის დროულ ინფორმაციას ხელმისაწვდომი ტრენინგების შესახებ. მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი ტრენინგზე დასწრების დამადასტურებელი დოკუმენტი ცნობის ან სერთიფიკატის სახით. სკოლას ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმნეტში გაწერილი აქვს თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება. აღნიშნული პუნქტი არეგულირებს პერსონალის საჭიროებების დადგენას, და შემდეგ წინსვლის ხელშეწყობას. ამასთანავე, 2025 -2026 სასწავლო წლის დასაწყისში სკოლაში კათედრებზე შეიქმნება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების გეგმა გრაფიკი. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით გაირკვა, რომ მასწავლებელბი პერმანენტულად გადიან ტრენინგებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან** - სკოლას ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმემნტსი გაწერილი აქვს თანამშრომელთა ადაპტაციის პუნქტი - ახალი თანამშროლის სიციალიზაცია. ამ მიმართულებით გაწერილია ის ზოგადი ნაბიჯები, რომლებსაც დგამს სკოლა ახალი თანამშრომლის მიღებისას. გარდა ამისა სკოლას შემუშავებული აქვს თანამშრომელთა ადაპტაციის წესი. აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს სკოლაში ახალითანამშრომლის ადაპტაციის წესს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები** - სკოლის შინაგანაწესი და ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია თანამშრომლების წახალისების ფორმები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის თანამშრომელთა ადაპტაციის წესი;
- სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად** - სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც დაფუძნებულია დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების და განვითარების სისტემაზე; **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები** – საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის შინაგანაწესში. გაწერილია დირექციისა და ადმინისტრაციის ფუნქციები მართვის პროცესში. სკოლის საქმიანობის მმართველობით პროცესები აღწერილია სკოლის ადმინისტრაციულ და უმაღლესი მმართველობითი რგოლის საქმიანობაში, ხოლო ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებულია და ფუნქციურად აღწერილია სხვა სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობებში.
ინდიკატორი შესაბამისობაშია;

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა** - სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს „მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმები“, აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს მიღებული შედეგის გასაჩივრების ეტაპებსაც. ხოლო თანამშრომელთა მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრება ხორციელედება დისციპლინურ კომიტეტსა და სამეურვეო საბჭოს მიერ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები** - სკოლის შინაგანაწესში გაწერილია პერსონალის, მოსწავლისა და მშობლის / კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებები. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი, რომლის საქმიანობა რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით. გარდა ამისა, სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს „მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმები“. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმნეტი;
- სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის გასაჩივრების პროცედურები.
- სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის „ჩარჩო რეგულაციის დოკუმენტი მოსწავლეთა ეფლებების დაცვის მექანიზმების მიმართულებით.
- სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება „მოსწავლეთა ეფლებების დაცვის მექანიზმების მიმართულების დამკიცების შესახებ“.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები** - სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოლოგია, დოკუმენტში გაწერილია საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმები და ეტაპები; სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართულნი არიან სწავლა-სწავლების პროცესში. უკუკავშირის მიზნით, მათ ეგზავნებათ სსგ დებულებები და სხვა საჭიროების შემთხვევაში საკითხები განიხილება პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე, შეხვედრებზე, სადამრიგებლო საათებზე, ელექტრონული ჟურნალის

საშუალებით მოსწავლეები და მათი მშობლები იღებენ ინფორმაციას სასწავლო შედეგებისა თუ პრობლემების შესახებ. სკოლას, მასწავლებებსა, დამრიგებლებს აქვთ სოციალურ ქსელში შექმნილი სამიზნე ჯგუფები, რომლებიც ასევე ხელს უწყობს სწრაფ და ეფექტურ უკუკავშრის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა - დაწესებულების მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა უზრუნველყოფილია ზოგადი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად, კერძოდ, საგნობრივი კათედრების შემდგენლობაშია ყველა მასწავლებელი, სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაშია მასწავლებელი, მშობელი და მოსწავლე, საბჭო განიხილავს ითანხმებს ან/და ამტკიცებს სკოლის საქმიანობის სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტს. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელსაც აქვს შესაძლებლობა ჩართული იყო სასკოლო ცხოვრებაში**. ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის Facebook გვერდი;
- სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები;

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების

შესახებ დასკვნა –სკოლა ვერ უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არ არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებში ცეცხლგამძლე სადემონსტრაციო მაგიდები და გამწოვები. რეკომენდაცია: სკოლამ, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად 2026 წლის 31დეკემბრის ჩათვლით უზრუნველყოს შენობის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის წარმოდგენა, ასევე საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავება და შესაბამის სამსახურთან შეათანხმება. 2026 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებში ცეცხლგამძლე სადემონსტრაციო მაგიდების და გამწოვები.სისტემების დამონტაჟება.**ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია;**

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;

სკოლაში არის 41/ნ ბრძანების მოთხოვნებთან შესაბამისად აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი. ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰყავდა ექიმი. შესყიდული არ აქვთ მედიკამენტები (რადგან არ ჰყავთ კარდი), საჭიროების შემთხვევაში იძახებენ სასწრაფო დახმარებას. აღნიშნული მიმართულებით სკოლას შესაბამისი წესის დაცვით გამოცხადებული აქვს ვაკანსია, სკოლას გაწერილი აქვს შესაბამისი მექანიზმები. შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილი აქვს კონკრეტული ვადები (31.12.2026) რეკომენდაცია: შესაბამისობის გეგმის თანახმად სკოლამ 31.12.2026 პერიოდში უზრუნველყოს ექიმის აყვანა **ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია;**

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას - „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის მინიტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოებას ზრუნველოყოფს სკოლის დარაჯი და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ქცევის წესები (თამბაქოს მოხმარების აკრძალვა, გადაუდებელი დახმარების ნომრები და ა.შ.), რითაც რეგულირდება წესრიგის დაცვის მექანიზმები. სკოლა აღჭურვილია ვიდეო თვალით, რომელიც 24 საათის

მანძილზე აკონტროლებს სკოლის გარე და შიდა პრიმეტრს. ყველა ვიდეოთვალი განთავსებულია ისე, რომ სრული პერიმეტრის ხედვა შესაძლებელია. . **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს** - ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლაში იგრძნობოდა კეთილგანწყობილი და პოზიტიური შეხვედრა, საკლასო ოთახებსა და დერეფნებში გამოფენილი იყო მოსწავლეთა ნამუშევრები,. გარდა ამისა, სკოლის ინფრასტრუქტურა (სამასწავლებლო, სამუშაო სივცეების, საკლასო ოთხები) და სკოლაში დასაქმებული პირები, ერთობლივად ქმნიან ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს; **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას** - სანიტარული ნორმების დაცვის თვალისაზრისით სკოლაში დასაქმებული არიან დამლაგებლები, ვიზუალური დათვალიერებით სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას** - სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემთა დაცვას „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა მოქმედი სპეციალური კანონმდებლობის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალური მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. სკოლას ემსახურება რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მხრიდან განსაზღვრული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები** - სკოლის საქმისმწარმოებელთან არის დაცული სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების პირადი საქმეები, რომელიც შენახულია და ხელმისაწვდომია მხოლოდ უფლებამოსილი პირებისათვის. სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება ვებგვერდებზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხდება ინფორმაციისა და ფაილების სარეზერვო კოპირება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის** – სკოლა ხელმძღვანელობს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინიტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული სკოლის უსაფრთხოების დაცვის კონკტროლის მიზნით, სკოლის დირექტორის ბრძანებით, სხვადასხვა მიმართულებით განსაზღვრულნი არიან პასუხისმგებელი პირები. სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის კოორდინატორი სკოლის დირექტორს პერიოდულად აწვდის ინფორმაციას და ხდება მასზე მყისიერი რეაგირება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის ვიზუალური დათვალირება;
- სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის დირექტორის წერილი ქალაქ დმანისის საგანმანათლებლო რესურსს ცენტრს სკოლის ექმისი ვაკანსიის შესახებ;
- სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის პერსონალური მონაცემებთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით - სკოლა აშენებულია 1986 წელს და რეაბილიტირებულია 2025 წელს. სკოლამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. არის ერთი მთავარი შენობა და ერთი დამხმარე ნაგებობა (საქვაბე).

სკოლაში - პირველ სართულზე განთავსებულია-სპორტული დარბაზი გასახდელებით, დამხმარე სათავსოები, სველი წერტილები ვაჟებისთვის და გოგონებისთვის, ადაპტირებული სველი წერტილი, რესურსოთახი, ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, კვების ბლოკი, კომპიუტერული ლაბორატორია, დარაჯის ოთახი;

მეორე სართულზე - სამასწავლებლო, დირექტორის კაბინეტი, ფიზიკის ლაბორატორია,კომპიუტერული ლაბორატორია, საკლასო ოთახები, სარეკრეაციო ზონა -დერეფანია;

საკლასო ოთახები აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებითა და სკამებით.

მესამე სართულზე - განთავსებულია საკლასო ოთახები, ქიმიის და ბიოლოგიის ლაბორატორია.

სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორია წარმოდგენილია ფიზიკის ცალკე და ქიმია-ბიოლოგიის ცალკე კაბინეტებში. ტექნოლოგიების კაბინეტი მდებარეობს შენობის მეორე სართულზე სადაც ინახება15 კომპიუტერი , სკოლში არის ინტერენტი და wi-fi, სკოლაში გათბობა ხდება ცენტრალური გათბობით. შენობის შემოსასვლელში მოწყობილია პანდუსი. ასევე სკოლაში დამონტაჟებულია ლიფტი, თუმცა არ არის ლაბორატორიის დასკვნა მის უსაფრთხოებაზე. ვიზიტის პერიოდში არ იყო ჩართული. შენობა და რესურსი არის სკოლის სარგებლობაში. **ინდიკატორი შეესაბამისობაშია;**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის** - დაწესებულების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. მოსწავლეებისთვის სკოლაში არსებობს რეკრეაციული სივრცეები (დერეფანი, ეზო, სპორტული დარბაზი) სხვა მოსწავლეებთან ან მასწავლებლებთან კომუნიკაციისთვის; **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

3. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს** – სკოლას აქვს რესურს ოთახი, სკოლის შესასვლელში დამონტაჟებულია პანდუსი, შენობაში არის ლიფტი, თუმცა ვიზიტის პერიოდში არ იყო მუშა მდგომარეობაში, შესაბამისად ეტლით მოსარგებლე პირის გადაადგილება ლაბორატორიებში და სხვა მნიშვნელოვან სივრცეებში ვერ ხერხდება. შესაბამისობის გეგმის წარმოდგენის შედეგად, სკოლა 2026 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით უზრუნველყოფს დამონტაჟებული ლიფტის გამართული ფუნქციონირებას და ფიზიკური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას ეტლით მოსარგებლე პირებისთვის, მათ შორის ლაბორატორიებსა და სხვა მნიშვნელოვან სივრცეებში გადაადგილების მიზნით.რეკომენდაცია : შესაბამისობის გეგმის თანახმად 2026 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით სკოლამ უზრუნველყოს დამონტაჟებული ლიფტის

გამართული ფუნქციონირება და ფიზიკური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ეტლით მოსარგებლე პირებისთვის, მათ შორის ლაბორატორიებსა და სხვა მნიშვნელოვან სივრცეებში გადაადგილების მიზნით. **ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას** - სკოლის ინფრასტრუქტურა (სკოლის ეზო, დარბაზი, კვების ბლოკი), ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები ერთმანეთთან, სასკოლო საზოგადოებისა და თემის სხვა თანატოლ თუ ზრდასრულ წარმომადგენლებთან ერთად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის ვიზუალური დათვალირება;
- სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის შენობის აზომვითი ნახაზი;
- სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის მატერიალური ქონების ფლობის დოკუმენტაცია;
- სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის საჯარო რეესტრის ამონაწერი;
- სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის ინვენტარიზაციის შედეგები;
- სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას** - ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფ სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას, სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია არის აღჭურვილი კომპიუტერებით გარდა ამისა სკოლას აქვს პორტატული კომპიუტერები (ლეპტოპები). სკოლას ჯამში აქვს 15 კომპიუტერი, 11 ლეპტოპი და 1 პროექტორი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**
2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად** - სკოლის ტექნოლოგიები ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. სასწავლო პროცესის მიდინარეობისას, დგება გაკვეთილების ცხრილი და გარკვეულწილად ეს არეგულირებს სარგებლობის წესს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის ვიზულური დათვალიერება;

- სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის კოპიუტერების ფლობის დოკუმენტაცია;

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი** - სკოლის დირექტორს დამტკიცებულია აქვს საქმის წარმოების ერთიანი წესი. ამასთანავე სკოლას შემუშავებული აქვს საქმის წარმოების მეთოდოლოგიური დოკუმენტი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**
2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა** - სკოლაში, როგორც შიდა, ისე გარე კომუნიკაციის მიზნებისათვის, გამოიყენება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა eflow, Eschool-ის ბაზა და office 365. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**
3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში** - ექსპერტების მიერ გადამოწმდა და დადგინდა , რომ ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის eschool სისტემაში სკოლას სრულყოფილად აქვს ასახული მონაცემები, შესაბამისად, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან** - სკოლის მიერ გაგზავნილი კორესპონდენციის შემოწმების მიხედვით, დგინდება, რომ დროულად აწვდის ანგარიშებს და ინფორმაციას საგანამანათლებლო საქმიანობის შესახებ შესაბამის უწყებებს. ასევესკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციებიდან ჩანს, 10 დეკემბრის ანგარიში, რომელიც სკოლის დირექტორმა წარადგინა სამეუვრეო საბჭოსთან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის მიერ გაგზავნილი კორესპონდენცია;
- სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემის შესაბამისი პროფილის დათვალიერება;
- სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის საქმის წარმოების ერთიანი წესი;
- სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის საქმის წარმოების მეთოდოლოგიური დოკუმნეტი;
- სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 10 დეკემბრის ანგარიში.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით** - სკოლა ავრცელებს მის მიერ განახორციელებული საქმიანობისა და საგნანათლებლო პროგრამების შესახებ უტყუარ ინფორმაციას. Facebook გვერდზე იდება მხოლოდ ადმინისტრაციის მიერ გადამოწმებული და დადასტურებული ინფორმაცია. სკოლას აქვს ვებ-გვერდი, რომელიც იძლევა ინფორმაციას სკოლის შესახებ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას** - სკოლა ავრცელებს მის მიერ განახორციელებული საქმიანობისა და საგნანათლებლო პროგრამების შესახებ უტყუარ ინფორმაციას. Facebook გვერდზე იდება მხოლოდ ადმინისტრაციის მიერ გადამოწმებული და დადასტურებული ინფორმაცია; **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად** - სკოლის წარმოადგენელთან გასაუბრებით გაირკვა, რომ სკოლა ანონიმურ გამოკითხვას ატარებს მოსწავლეებთან, მშობლებთან, თემის წარმომადგენლებთან, შემდეგ აანალიზებს მიღებულ შედეგებს და შემდეგ სამომვალოდ იყნებს მათ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას** - - სკოლის ვებ-გვერზე განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, რადგან სკოლა სწავლებს ახორციელებს ქართულ ენაზე. აღნიშნული ინფორმაცია განთავსებულია სკოლის სოციალურ Facebook გვერდზეც; **ინდიკატორი შესაბამისია;**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**- სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია აღნიშნული ინფორმაცია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის ოფიციალური სოციალური ქსელის Facebook გვერდი;
- სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის ვებ-გვერდი - https://skolebi.emis.ge/schools/ - მაშავერას საჯარო სკოლა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება** – სკოლის მიერ წარმოდგგლი სამოქმედო გეგმა რელევანტურია დაა შეესაბამება სკოლის ფინანსურ რესურსებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**
2. **სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა** - სკოლის წარმოდგენილი დოკუმენტაციით მიხედვით, სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ფინანსური რესურსების განკარგვის და მონიოტრინგის შედეგებს; სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება ხდება სამეურვეო საბჭოზე, ხოლო მისი გასული

წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში ასევე წარედგინება სამეურვეო საბჭოს. სკოლაში შექმნილი ფინანსური მონიტორინგის ჯგუფი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმები;
- სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის შესყიდვების გეგმა;
- სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის შესყიდვების გეგმის დამტკიცების ბრძანება;
- სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის 2026წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სსიპ-დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის 2025 წლის და 2026 წლის ბიუჯეტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა

სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა. მოსწავლის უფლებების დაცვა უზრუნველყოფილია სკოლის შინაგანაწესით, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლებისათვის ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას. შინაგანაწესში განსაზღვრულია მოსწავლეთა უფლებები და პასუხისმგებლობები. სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში განიხილავს შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნების გადაცდომის საკითხებს. ამ ეტაპისთვის, სკოლაში არ ჩატარებულა არცერთი დისციპინური კომიტეტის შეხვედრა. გარდა ამისა, სკოლას ცალკე დოკუმენტად აქვს შემუშავებული „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენის კანონიერი უფლებების დაცვის“ დოკუმენტი. აღნიშნულ დოკუმენტშიც დეტალურადაა გაწერილი თითოეული ადამიანის უფლებები და მისი დაცვის მექანიზმები. სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტს აწერია სკოლის დასახელება და დოკუმენტის სახელწოდება, შემუშავების თარიღი (2024 წელი), თუმცა დოკუმენტი ბრძანებით არ არის დამტკიბული სკოლის დირექტორის მიერ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

რჩევა: სკოლის მიერ გამოგზავნილი - „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენის კანონიერი უფლებების დაცვის“ დოკუმენტს აწერია სკოლის დასახელება და დოკუმენტის სახელწოდება, შემუშავების თარიღი (2024 წელი), თუმცა დოკუმენტი ბრძანებით არ არის დამტკიბული სკოლის დირექტორის მიერ. შესაბამისად, დამტკიცდეს სკოლის დირექტორის ბრძანებით.

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

სკოლის შინაგანაწესი განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე და გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე. დამრიგებლის დებულებაში გაწერილია შინაგანაწესის გაცნობის ვალდებულება მოსწავლეებისა და მათი მშობლებისთვის/კანონიერი წამომადგენლებისთვის. დამრიგებები სკოლის შინაგანაწესის ძირითად ასპექტებს აცნობენ მოსწავლის მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს მშობელთა კრებებზე, ხოლო მოსწავეებს - სწავლის დაწყებისთანავე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ პუნქტებს ხელშეკრულების ნომერი და თარიღი, ხელშეკრულების მხარეთა მონაცემები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, მხარეთა უფლება/მოვალეობები, სასწავლო დრო, დასვენების დრო, უქმე დღეები, მხარეთა პასუხისმგებლობა, დამატებით პირობები. მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულებები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- დამრიგებლის დებულება;
- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები.
- მშობელთა კრების ოქმი;

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები

მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობის, სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებით, სკოლა ხელმძღვანელობს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის" შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობისა და სტატუსის შეწყვეტის წესი. სკოლაში არსებობს პასუხისმგებელი პირი, საქმისმწარმოებელი, რომლის მოვალეობაა აწარმოოს მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვა სკოლის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს

სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა მიმდინარეობს კანონმდებობის შესაბამისად. სკოლა აღნიშნულ პროცესებს სრულად აწარმოებს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. ვიზიტისას შესწავლილ იქნა მოსწავლეთა პირადი საქმეები, ასევე ადგილზე დათვალიერდა მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლის პროფილი, რის საფუძველზეც დადგინდა, რომ სკოლა იცავს და კანონმდებლობით დადგენილი პროცედურებით ახორციელებს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცესს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს და სასკოლო სასწავლო გეგმას. სასწავლო წლის დასაწყისშივე ხდება მოსწავლისა და მისი მშობლების ინფორმირება მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევაში მოსალოდნელი სავარაუდო შედეგების შესახებ; დამრიგებელი ვალდებულია შეხვდეს მშობლებს და მიაწოდოს ინფორმაცია მისი შვილის აკადემიური მოსწრების, ქცევისა და გაცდენების შესახებ. გასაუბრებისას მშობლებმა აღნიშნეს, რომ პარასკევი არის მშობლების დღე, რომლის ფარგლებშიც მათ შეუძლიათ თითოეული საგნის მასწავლებელთან გასაუბრება. სკოლას ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული აქვს შიდა სასკოლო პოლიტიკის დოკუმენტები, მათ შორის სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები და სხვ, თუმცა სკოლა ძირითად საინფორმაციო საშუალებად იყენებს ფეისბუბ გვერდს, სადაც ხელმისაწვდომია ყველა სიახლე და სასკოლო ცხოვრების ამსახველი მასალები. მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს ორივე მხარის უფლება-მოვალეობებს. საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია სკოლის შინაგანაწესი, დღის რეჟიმი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და ტელეფონის ნომრები, რაც უკავშირდება უსაფრთხოების უზრუნველყოფას. აქედან გამომდინარე დასტურდება, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები, პირობები და პროგრამები, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრების, სკოლის სოციალური ქსელისა და ვებ-გვერდის დათვალიერების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის უტყუარი, სანდრო,

განახლებული, არადისკრიმინაციული და კანონმდებლობის შესაბამისი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის წესი;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- ვებ-გვერდის შესაბამისი გვერდი/სოციალური ქსელი;
- შინაგანაწესი.
- მშობლეთან დადებული ხელშეკრულებები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი, რომლის მიზანია მოსწავლეს დაეხმაროს შეეგუოს სასწავლო პროცესსა და სასკოლო ცხოვრებას, დაამყაროს წარმატებული კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან და ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში. ეს მექანიზმი ვრცელდება პირველკლასელებზე, მობილობით გადმოსულ მოსწავლეებსა და იმ მოსწავლეებზე, რომლებსაც ენობრივი ბარიერი ან სხვა მიზეზით გამოწვეული ადაპტაციის პრობლემები აქვთ. დოკუმენტი განსაზღვრავს დეზადაპტაციის ნიშნებს და მათზე რეაგირების პროცედურებსაც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

მოსწავლეთა ადაპტაციის ხელშეწყობა იწყება სწავლის დაწყებამდე და მოიცავს როგორც აკადემიურ, ისე სოციალურ ასპექტებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი ადაპტაციის წესის მიხედვით დამრიგებელმა ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეებს სასკოლო გარემოსთან ადაპტაციაში და წაახალისოს მოსწავლეები, დაამყარონ კომუნიკაცია ახალ გადმოსულ მოსწავლესთან. ადაპტაციის მექანიზმი მოიცავს აქტივობებს, რომლებიც მიმართულია მოსწავლეების ურთიერთგაცნობასა და დაახლოებაზე. დამრიგებლის მიერ პირველივე სადამრიგებლო საათი ეთმობა თანაკლასელების გაცნობა-დაახლოებას. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლის მიერ შემუშავებული ზემოთ აღწერილი მექანიზმი პრაქტიკაშიც წარმატებით ხორციელდება. ინტერიუს დროს მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ ახლადგადმოსული მოსწავლე მარტივად ადაპტირდა სასკოლო გარემოსთან, რადგან დამრიგებლებმაც და საგნის მასწავლებლებმაც ამის ყველა პირობა შექმნეს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და სწავლის პროცესის მხარდაჭერის მიზნით მასწავლბლები დახმარებას უწევენ მოსწავლეებს. სკოლის დირექტორთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში არცერთ მოსწავლეს არ ჰქონია არც

ექსტერნის, არც საშემოდგომო და არც ნიშნის ამაღლების გამოცდა. მოსწავლეებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ საჭიროების შემთხვევაში მასწავლებები ყოვეთვის ეხმარებიან და ხელახლა უხსნიან მათთვის გაუგებარ საკითხებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. მოსწავლეებს ეძლევათ დროული მხარდაჭერა ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებით მაგ. სატატუსის აღდგენა ან შეწყვეტა, მობილობა. ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ სკოლა რეაგირებს წერილობით განცხადებებზე და ახორციელებს დროულ კომუნიკაციას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერა სკოლის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია, შესაბამისად, მნიშვნელოვანია სკოლამ კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისება და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერა. სკოლის ცხოვრების ნაწილია სხვადასხვა ხასიათის საკლასო და სასკოლო ღონისძიებების ორგანიზება და ჩატარება, რაც ინიცირებულია როგორც მასწავლებლების, ასევე მოსწავლეების მიერ. სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით, სკოლის ადმინისტრაციისა და სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერით განხორციელდა არაერთი პროექტი, ექსკურსიები, სპორტული და ინტელექტუალური შეჯიბრებები. სკოლის ფოიეში განთავსებულია მოსწავლეთა არაერთი ნამუშევარი, მაკეტი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

ინტერვიუს პროცესში სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სკოლას აქვს მუდმივი კომუნიკაცია მშობლებთან და მოსწავლეებთან მიწოდებული მომსახურებების განხორციელებისა და შემდგომი განვითარებისთვის. ძირითადი უკუკავშირი ზეპირი სახითაა მიღებული, რისი გათვალსწინებაც გარკვეულწილად ხდება. თუმცა, სისტემური ხასიათი სასკოლო საზოგადოების უკუკავშირს არ აქვს. მნიშვნელოვანია, რომ სკოლა მოსწავლეებისაგან, მშობლებისაგან/კანონიერი წარმომადგენლებისაგან და სკოლის პერსონალისგან იღებდეს უკუკავშირს მიწოდებული სერვისების ხარისხის შესახებ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

რჩევა: სასურველია, სკოლამ მარეგულირებელ დოკუმენტში გაწეროს, თუ როგორ, რა პერიოდულობით და რა მექანიზმებით იღებს უკუკავშირს მოსწავლეებისგან, მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლებისგან, თანამშრომლებისგან და როგორ ხდება ამ უკუკავშირის საფუძველზე მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის წესი;
- შინაგანაწესი
- წარმოდგენილი პროექტების აღწერები/ფოტომასალა
- თვითმმართველობის ოქმები.
- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის წესი;
- სადამრიგებლო დებულება და საქმიანობა;

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის

ამ ეტაპზე სკოლას მემორანდუმი არ აქვს გაფორმებული არცერთ პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებელთან. მოსწავლეებთან, მშობლებსა და სკოლის პერსონალთან გასაუბრებით გაირკვა, რომ მოსწავლეები ვერ ახერხებენ პროფორიენტაციის კუთხით სკოლის გარეთ აქტივობებში ჩართვას. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომობის მიზნით სკოლაში მოქმედებს სადამრიგებლო პროგრამა. სადამრიგებლო საათის ფარგლებში პედაგოგები ახორციელებენ აქტივობებს სხვადასხვა პროფესიების პოპულარიზების მიზნით. მოსწავლეებთან ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ სადამრიგებლო საათზე დამრიგებლები მოსწავლეებს ესაუბრებიან სხვადასხვა პროფესიაზე და ეხმარებიან მათ პროფესიულ ორიენტაციაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

რჩევა : მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, სასურველია, სკოლამ მემორანდუმი გააფორმოს პროფესიულ ან უმაღლეს სასწავლებლებთან.

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

სადამრიგებო პროგრამის მიხედვით, სკოლა სააღმზრდელო საათს აქტიურად იყენებს იმისთვის, რომ მოსწავლეებს მიაწოდოს ინფორმაცია კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. კარიერული დაგეგმვის მხარდაჭერის სისტემის ფარგლებში საშუალო საფეხურის დამრიგებლები აქტიურად არიან ჩართული მოსწავლეთათვის შრომის ბაზარზე არსებული

მოთხოვნადი პროფესიების ინფორმაციის მიწოდებასა და მოსწავლეთა ინტერესების გამოკვეთაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს

სკოლა იაზრებს წინა გამოცდილებასა და სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის მნიშვნელობას, თუმცა ამ ეტაპზე გაწეული მომსახურების შეფასების შედეგების გაანალიზებას და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას ახდენს ზეპირი უკუკავშირის საფუძველზე. ეს დადასტურდა ადმინისტარციასთან და მშობლებთან ინტერვიუს დროსაც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

რჩევა: სასურველია სკოლამ ჩაატაროს გამოკითხვა კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ფარგლებში მოსწავლეთა მხარდაჭერის პროგრამასთან დაკავშირებით, რომლის შედეგების ანალიზიც უზრუნველყოფს უფრო ხარისხიანი პროფესიული ორიენტაციის მომსახურების განხორციელებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დამრიგებლის ანგარიშებითა და პორტფოლიოებით;
- სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული მასალებით.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია, სადაც გაწერილია სსსმ სტატუსის მოპოვება/ მოხსნის დეტალები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და შესრულების რეგულაცია/მონიტორინგი, ასევე, კონფიდენციალური და ეთიკური პრინციპების დაცვის ვალდებულებები მხარეებთან ურთიერთობის დროს. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია ინკლუზიური განათლების ხელშემწყობი მექანიზმები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესები და პრინციპები; სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების, გაცდენების აღრიცხვისა და დასწრების წესი. სსსმ მოსწავლეების შინ სწავლებისა და მათი წახალისების მექანიზმები. ნიმუშის სახით წარმოდგენილია ისგ-ს ფორმა. შექმნილია შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ამზადებს შიდა მონიტორინგის დასკვნას და გასცემს რეკომენდაციებს. გარდა იმისა, რომ სკოლას აქვს შემუშავებული მექანიზმები, სპეც. მასწავლებელთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ აღნიშნული მექანიზმი პრაქტიკაშიც ხორციელდება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს

სსსმ მოსწავლეებისათვის სკოლაში გამოყოფილია რესურს ოთახი. სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები და სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი ჯგუფი გეგმავს სხვადასხვა აქტივობებს ისინი თანამშრომლობენ და მუდმივ კომუნიკაციაში არიან ერთმანეთთან. სასწავლო წლის დასაწყისში, ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი გუნდი აწყობს შეხვედრას მასწავლებლებთან, სადაც განიხილავს წლის დასაწყისში განსახორციელებელ სამუშაო გეგმას, ამის შემდეგ ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, სადაც მაქსიმალურადაა გათვალისწინებული თითოეული მოსწავლის საჭიროება და შესაძლებლობები. ისგ ჯგუფი შეხვედრებზე განიხილავს მოსწავლის საჭროებებს და ერთობლივად გეგმავს საქმიანობას. სსსმ მოსწავლეთა განვითარებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი: საგნის მასწავლებელი, დამრიგებელი, მშობელი, სპეც.

მასწავლებელი. სპეციალური მასწავლებელი ახდენს სირთულეების იდენტიფიცირებას და რეკომენდაციას აძლევს საგნის მასწავლებლებს. მათთან ერთად სსსმ მოსწავლის განვითარების ხელშეწყობის მიზნით იყენებს საგანმანათლებლო რესურსებს, როგორებიცაა: ადაპტირებული ტექსტი, ბარათები, ვიზუალური მიმანიშნებელი. სკოლაში ხორციელდება მოსწავლის ქცევაზე დაკვირვება და ჩანაწერის ანალიზი. საჭიროების შემთხვევაში დგება რთული ქცევის მართვის გეგმა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა,
- სსსმ მოსწავლეთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია და წესი;
- ისგ ჯგუფის ოქმები.
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ადაპტაციის წესი
- შიდა მონიტორიგის დასკვნა

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი

მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სკოლას ემსახურება ტრანსპორტი. აღნიშნული მომსახურება ხორციელდება სამინისტროს მიერ შეთავაზებული პროგრამის ფარგლებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას

სკოლას აქვს მხოლოდ ტრანსპორტის მომსახურება, როგორც დამატებითი არასავალდებულო სერვისი. აღნიშნული მომსახურებით მხოლოდ ის მოსწავლეები სარგებლობენ, ვისაც აქვს სერვისით სარგებლობის საჭიროება და სურვილი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს

მოსწავლეთეთვის ტრანსპორტით მომსახურების სერვისი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეგიდით განხორციელებული პროექტის ნაწილია და ნებართვა დაკმაყოფილებულია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

□□□□□□□□□ 2	**□□□□□□□□□ □□□□□□ □□□□□□□□** *(□□□□□□□□ □□□□□□□□□□□ □□□□ □□□□□□□□□□□□ □□ □□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□)*
□□□□□□□ □□□□□□□□□□□ **დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**	**■ □□□□□□□□□□□□** **□ □□□□□□□□ □□□□□□□□□□□** **□ □□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□** **□ □□ □□□□□□□□□□□**

კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ [redacted] □ [redacted] □ [redacted] □ [redacted]
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ [redacted] □ [redacted] □ [redacted] □ [redacted]
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ [redacted] □ [redacted] □ [redacted] □ [redacted]
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ [redacted] □ [redacted] □ [redacted] □ [redacted]

საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

[redacted] 2	**[redacted]** *([redacted])*
[redacted] ([redacted])	□ [redacted] ■ [redacted] □ [redacted] □ [redacted]
კომპონენტი 2.1	■ [redacted]

კურიკულუმის შემუშავება	☐ □□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□ ☐ □□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□ ☐ □□ □□□□□□□□□□□□
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ □□□□□□□□□□□□ ■ □□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□ ☐ □□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□ ☐ □□ □□□□□□□□□□□□
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ □□□□□□□□□□□□ ☐ □□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□ ☐ □□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□ ☐ □□ □□□□□□□□□□□□
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ □□□□□□□□□□□□ ☐ □□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□ ☐ □□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□ ☐ □□ □□□□□□□□□□□□

საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

□□□□□□□□□ 2	**□□□□□□□□□ □□□□□□ □□□□□□□□** *(□□□□□□□□ □□□□□□□□□□□ □□□□ □□□□□□□□□□□ □□ □□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□)*
□□□□□□□ □□□□□□□□□□ (□□□□□□ □□□□□□□□□□□□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□ □□□□□□□□□□)	☐ **□□□□□□□□□□□** ■ **□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□** ☐ **□□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□** ☐ **□□ □□□□□□□□□□□**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ □□□□□□□□□□□□ ☐ □□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□

	☐ [illegible] ☐ [illegible]
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ [illegible] ■ [illegible] ☐ [illegible] ☐ [illegible]
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ [illegible] ☐ [illegible] ☐ [illegible] ☐ [illegible]
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ [illegible] ☐ [illegible] ☐ [illegible] ☐ [illegible]

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“, რომელშიც აღწერილია სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. აღნიშნულ დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია შემდეგ ძირითად საკითხებზე:

- რა არის / რას ემსახურება სასკოლო კურიკულუმი;
- სისტემური დონის რეგულაციები რომლებსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმი;
- პროცესებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები / პოზიციები;
- პროცესში ჩართული მხარეები;
- ძირითადი პროცესები:
- კავშირი სხვა პროცესებთან.

კურიკულუმის შემუშავების დოკუმენტში ვრცლად არის საუბარი სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობაზე, მათი ინტერესების, შეხედულებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებაზე. დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ კურიკულუმი ფუნქციაა ერთი მხრივ წარმოაჩინოს სკოლის ტრადიციები და პრიორიტეტები, მეორე მხრივ კი უზრუნველყოს შეთანხმება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. კურიკულუმის დანერგვა მაშინ მიმდინარეობს წარმატებით, როცა მის შინაარსს იზიარებენ და მის განვითარებაში მონაწილეობენ სკოლის მასწავლებლები, დირექცია და მშობლები. სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტს აწერია სკოლის დასახელება და დოკუმენტის სახელწოდება, შემუშავების თარიღი (2025 წელი), თუმცა დოკუმენტი ბრძანებით არ არის დამტკიცებული სკოლის დირექტორის მიერ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

რჩევა: სკოლის მიერ გამოგზავნილი დოკუმენტი - „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენის კანონიერი უფლებების დაცვის“ არ არის ბრძანებით დამტკიცებული. აუცილებელია, აღნიშნული დოკუმენტი დამტკიცებული იყოს დირექტორის ბრძანებით.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში ხაზგასმით არის აღნიშნული სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობა. დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის თანამშრომლობის რეჟიმში ხდება. ამ პროცესში რეალური მონაწილეობა გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმირებასა და კონსულტირებას, არამედ ინტენსიურ თანამშრომლობასა და გამჭვირვალე ანგარიშვალდებულების სისტემის დაწესებას. მოსწავლეებთან და მშობლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინი კმაყოფილები არიან სასკოლო კურიკულუმით და ასევე, მოსწონთ სწავლის პროცესი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სასკოლო კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოადოების ჩართულოთ. მასში აქტიურ მონაწილეობას იღებს საგნობრივი კათედრები. სკოლაში ვიზიტის დროს, მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრის შიგნით,

აქტიურად ხდება სასკოლო კურიკულუმების, თემების, საკითხები, ინდივიდუალური საჭიროებების განხილვა და ამის შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მათ მუშაობას ბოლო პერიოდში ხელი იმან შეუშალა, რომ ისინი სხვა სკოლაში იყვნენ დროებით, სანამ მათი სკოლის შენობა რეაბილიტაციას პროცესში იყო, ამის გამო, ისინი ვერ ახერხებდნენ შეხვედრას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმის შემუშავება გულისხმობს მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამის და მისი რეალიზებისთვის საჭირო აქტივობების განსაზღვრას. ამ პროცესში კათედრის ყველა მასწავლებელი ერთვება. პედაგოგები თანხმდებიან შემდეგ საკითხებზე: რომელ თემებს ასწავლიან მომდევნო სასწავლო წელს, რა ქვესაკითხებსა და საკითხებს ასწავლიან თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების გასააზრებლად, საფეხურის შედეგების მისაღწევად; რა კომპლექსურ დავალებებს იყენებენ თემის ფარგლებში გამოკვეთილი საკითხებისა და ქვესაკითხების გასააზრებლად; რა ძირითად და დამხმარე რესურსებს იყენებენ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში; რა შეფასების ინსტრუმენტებს გამოიყენებენ მოსწავლეების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის; კურიკულუმს გეგმავს მთელი კათედრა და არა ერთი მასწავლებელი. გარდა მასწავლებლებისა, კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართული არიან მოსწავლეები და მათი მშობლები. მოსწავეებთან და მშობლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა აქტიურად უსმენს და იზიარებს მათ მოსაზრებებს სასწავლო პროცესთან, მის დაგეგმვასთან დაკავშირებით. სისტემატიურად ხდება უკუკავშირის მიწოდება მშობლებისა თუ ბავშვების მხრიდან მასწავლებლებთან, ასევე სკოლის ადმინისტრაციასთან და მათი მხრიდან ყოველთვის არის შესაბამისი რეაგირება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის დანერგვის მეთოდოლოგია;
- კათედრის ოქმები;
- საგნობრივი კურიკულუმები

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. შუალედური მიზნები განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად. უპირატესობა ენიჭება ისეთი კომპლექსური თუ შემოქმედებითი დავალების პირობის შემუშვებას, რომელიც აამუშავებს მოსწავლის ფანტაზიას, გამოიწვევს მოსწავლეს და ცნობისმოყვარეობით შეეცდება პროდუქტის შექმნას. შესაბამისობის გეგმის მიხედვით, სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, ლაბორატორიის მოწყობა იგეგმება 2026 წლის 31 დეკემბრამდე და შესაბამისად, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმებში ვხდებით დავალებებს

	რომლის ჩასატრებლადაც ლაბორატორიის არსებობა არ არის აუცილებელი. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები ყოველდღიური ცხოვრებიდან უამრავი საინტერესო მაგალითის კომპლექსური დავალების პირობად გამოყენების შესაძლებლობას იძლევა და მათ შეუძლიათ საკლასო ოთახებშიც ჩაატარონ შემოქმედებითი გაკვეთილები. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სამივე საფეხურის კურიკულუმებში ვხვდებით მრავალფეროვან და შემოქმედებით, კეთებით სწავლებაზე დაფუძნებულ დავალებებს, თუმცა მათი რაოდენობა შემოიფარგლება სემესტრში ან ზოგიერთ საგანში წელიწადში ერთი შემოქმედებითი პროდუქტის შექმნით, რაც ვფიქრობ, ყურადსაღებია. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმებში სხვადასხვა საგნების კურიკულუმები წარმოდგენილია განსხვავებული ჩარჩოთი, ვფიქრო, სკოლას არ აქვს ერთიანი შემუშავებული და დამტკიცებული კურიკულუმების ერთიანი ფორმა რაც სტრუქრურირებულს გახდიდა ჩარჩოს და ყველა მასწავლებელი ერთიდაიგივე ფორმით წარმოადგენა კურიკულუმს. სასურველია კურიკულუმებში ინტეგრირებული იყოს მეტაკოგნიცის განვითარების სტრატეგიები, არ გვხვდება მოსწავლეთა რეფლექსიები, სადაც მოსწავლე აანალიზებს რა გამოუვიდა კარგად, რატომ და რა იყო ის ცოდნა და გამოცდილება რამაც წარმატება მოუტანა. ჩვენი ინტერვიუს პროცესში კათედრამ გამოხატა მზაობა მომავალი სასწავლო წლისათვის გაეთვალისწინებინათ აღნიშნული რათა მოსწავლეს მიეცეს შესაძლებლობა გამოთქვას

	ვარაუდები, მოსაზრებები იმსჯელოს, გააკეთოს დასვნა, რაც უდაოდ გამოიწვევს მასში თვითკმაყოფილებას. ინდიკატორი შესაბამისობაშია. **რჩევა: ეროვნული სასწავლო გეგმის საშუალო საფეხურის მისიიდან გამომდინარე, სასურველია შემოქმედებითი დავალებების წილი გაიზარდოს როგორც საბაზო, ასევე საშუალო საფეხურზე.** **რჩევა: სასურველია სკოლამ იმუშაოს მოსწავლეებში მეტაკოგნიციის უნარების განვითარებაზე და შექმნან შესაბამისის მტკიცებულებები.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას. საგნობრივი კურიკულუმები შედგება აუცილებელი სტრუქტურული ერთეულებისაგან. შუალედური მიზნები, ანუ კომპლექსური ბუნების დავალებები საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია და დაკავშირებულია სტანდარტით გათვალისწინებულ სასწავლო თემებთან, სამიზნე ცნებებთან და ქვეცნებებთან. პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავებისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას, გამოცდილებას და აქვთ მზაობა მეტად გაამრავალფეროვნონ კომპლექსური ბუნების დავალებებით. გადმოგზავნილი დოკუმეტაციიდან ჩანს, რომ პედაგოგები ქმნიან ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, ახორციელებენ საინტერესო პროექტებს, რომლებიც მოსწავლეებს ასევე ეხმარება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებას. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

	რჩევა: სასურველია, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში სტანდარტით გათვალისწინებულ ყველა თემაში მუშავდებოდეს კომპლექსური ბუნების დავალებები და რომელთა ნაბიჯ-ნაბიჯ დამუშავებით, მოხდება გრძელვადიან მიზნებსა და მის შედეგებზე გასვლა, რაც სასწავლო პროცესს მრავალფეროვანს და საინტერესოს გახდის. ასევე, ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება უნდა იყოს დამუშავებული.
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ სამივე საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები გვიქმნის წარმოდგენას, რომ მათ მიერ შექმნილი სასწავლო გარემო ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის განვითარებაზე. გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირება და შუალედური მიზნების გათვალისწინება დაეხმარება მათ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვაში. პროექტული შინაარსის დავალებების საშუალებით, მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, კეთებისა და კვლევის პროცესში თავად მოახდინონ სწავლის კონსტრუირება. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
ესთეტიკური აღზრდა	დაწყებითი, საბაზო და საშაულო საფეხურის ესთეტიკის კათედრის - მუსიკის და ხელოვნების საგნის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, თემები და შემოქმედებითი ტიპის დავალებები ეყრდნობა წინარე გამოცდილებას და პრაქტიკას საფეხურის მისაღწევი შედეგები ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაზე, მასში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, რაც განაპირობებს მოსწავლის აქტიურ ჩართვას სწავლა-სწავლების პროცესში. მუსიკის/ხელოვნების საგნების კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში არსებული ინფორმაციაზე დაყრდნობით სავალდებულო თემები, საკითხები და ცნება/ცნებები შევსებულია მართებულად, თუმცა მცირედი უზუსტობებით, კონრეტულად: ყველა კლასში, თემებთან მიმართებით ,ერთეულად გამორჩენილია /არ არის ჩატანილი სამიზნე ცნებები, მკაფიოდ არ არის ფორმულირებული კომპლექსური დავალების იდეები. ინდიკატორი

	შესაბამისობაშია. თუმცა ეს არ უშლის ხელს ინდიკატორის შეფასებას დადებითად,რადგან პედაგოგებთან ინტერვიურების პროცეში მიღებული უკუკავშირი იყო სრულიად გააზრებული,არგუმენტირებული,მისაღები და საგნობრივ სტანდართან შესაბამისი. **რჩევა: ესთეტიკური აღზრდის საგნების კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით, სავალდებულო თემები, საკითხები და ცნება/ცნებები შევსებულია მართებულად, თუმცა მცირედი უზუსტობებით. აქედან გამომდინარე, სასურველია, მომავალი სასწავლო წლიდან კურიკულუმებში, ყველა საფეხურზე სრულად იყოს გამოსწორებული უზუსტობები, რომელიც ეხება: ჩატანილ თემებს, სამიზნე ცნებებსა და შემოქმედებითი ტიპის დავალებებს.**
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის სამივე საფეხურის კურიკულუმები მიმართულია მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვა-განვითარებაზე. დოკუმენტაციის საფუძველზე და პედაგოგებთა ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრები თანხმდებიან თემატურ საკითხებზე, შეფასების ინსტრუმენტებზე, კომპლექსური დავალებების პირობებზე ისე, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეთა განვითარებას. კურიკულუმის ჩარჩოები გვიჩვენებს, რომ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება , შემოქმედებითი დავალებების იდეები მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და ინდივიდუალურ საჭიროებებზეა მორგებული, სწავლებისას შუალედური მიზნები უკავშირდება შესაბამის სასწავლო შინაარსს. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
მათემატიკა	მათემატიკაში წარმოდგენილი კურიკულუმები ისეა დაგეგმილი, რომ ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებს და ემსახურება მათ განვითარებას; საკითხები დაჯგუფებულია თემების მიხედვით, თითოეული თემისთვის სწორადაა შერჩეული საკითხების ჯგუფი, თითოეული საკითხისთვის შერჩეულია რელევანტური ელექტრონული რესურსი, დასახულია გრძელვადიანი მიზნები, რომელთა მიღწევაც შუალედური მიზნებით-

	კომპლექსური დავალებებით ან პროექტებითაა შესაძლებელი. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
სპორტი	მასწავლებლის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასწავლებელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ კურიკულუმების დაგეგმვისას გაითვალისწინა ესგ-ს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სტანდარტი. კურიკულუმებში თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება, რაც საბოლოოდ ქმნის ეფექტურ, დინამიკურ და მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების საგნისთვის შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. იგი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. სასწავლო პროცესი დაგეგმილია აქტიური და პრაქტიკული სწავლების პრინციპებზე, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობასა და შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას. კურიკულუმში წარმოდგენილი დავალებები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებაზე. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა, ქართული, ბუნება), საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმების განხორციელებისას მასწავლებლებს გრძელვადიანი მიზნების

	მისაღწევად დაგეგმილი აქვთ შემოქმედებითი დავალებებით სწავლება. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმები ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნების დაფარვას ემსახურება. შუალედური სასწავლო მიზანი , კომპლექსური თუ შემოქმედებითი პროდუქტის შექმნაზე ორიენტირებული დავალება, საშუალებას იძლევა დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება. შემუშავებული კურიკულუმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მოსწავლეთა შეფასების დოკუმენტები, მასწავლებლის ზეპირსიტყვიერი თვითრეფლექსია და ურთიერთშეფასების რეფლექსია საშუალებას იძლევა ვიფიქროთ, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ თემა, სამიზნე ცნება, სასწავლო რესურსები. ფლობენ განსმაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სტრატეგიებს. თუმცა, როგორც დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმებში აგრეთვე საბაზო და საშუალო საფეხურზე ბიოლოგიისა და ქიმიის კურიკულუმებში დასაზუსტებელი იყო სავალდებულო თემისა და სამიზნე ცნებების შესაბამისობა, მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს გამოხატეს მზაობა აღნიშნულის შესასწორებლად და კათედრაზეც იგრძნობოდა მაღალი თანამშრომლობითი კულტურა რაც იმაში გამოიხატება, რომ ერთობლივი მუშაობით შეჯერდნენ კომპლექსური დავალებისა და შემოქმედებითი

	პროდუქტის შექმნის პირობებზე და კარგად გამოიყენონ კონტექსტ მაგალითები. ინდიკატორი შესაბამისობაშია. **რჩევა:სასურველია დაწყებითი საფეხურის მესამე, მეოთხე კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმებში დაზუსტდეს სავალდებულო თემისა და სამიზნე ცნებების შესაბამისობა, კურიკულუმები გაიწეროს ერთიან ჩარჩოში და შეძლებისდაგვარად სრულყოფილად იქნეს შესვებული ყველა მოცემული გრაფა შესაბამისი საკითხით, კონტექსტ მაგალითით და მაგალითებით შედარებისათვის. აგრეთვე, ბუნებისმეტყველების მეხუთე და მეექვსე კლასის კურიკულუმებში სრულად ჩაიწეროს გამოყენებული რესურსები.** **რჩევა: სასურველია სკოლამ ბიოლოგიისა IX კლასის კურიკულუმში სამიზნე ცნებები დაზუსტებული ტერმინოლოგიით შესაბამისობაში მოიყვანოს საგნობრივ სტანდარტთან, ხოლო ქიმიის მეათე კლასის კურიკულუმში დააზუსტოს სავალდებულო თემების სტანდარტთან შესაბამისობა.** **რჩევა: სასურველია სკოლამ წარმოადგინოს საათობრივი ბადე, სადაც გათვალისწინებული იქნება ქიმიის სწავლება VIII-XII კლასში. კურიკულუმები გაწერილია ყველა კლასზე, მასწავლებლებმა ისაუბრეს, რომ ასწავლიან ყველა კლასს, ხოლო წარმოდგენილი საათობრივი ბადე ადასტურებს, რომ ქიმიის სწავლება მთავრდება XI კლასში და საათობრივი დატვირთვა არის კვირაში 3 სთ.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილია სამიზნე ცნებები,თემა, საკითხი/საკითხთა კლასტერი,კონტექსტ-მაგალითი,დავალების იდეა/მიზანი, რესურსები. პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ახორციელებენ საინტერესო პროექტებს და კომპლექსური ბუნების დავალებებს. მოქალაქეობაში

	წარმოდგენილია პროექტები, რომლებიც ისეთი პრიორიტეტული უნარების განვითარებას უწყობს ხელს, როგორიცაა გარემოს დაცვა, ჯანსაღი ცხოვრება, ადამიანი უფლებები, კულტურული მემკვიდრეობა სხვა. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი არის გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად . სამივე საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება საგნობრივ სამიზნე ცნებებზე, მოიაზრებს მოსწავლეებში გლობალურ-ფუნქციური უნარების გააქტიურებას. წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებების იდეების/ძირითადი საკითხების შესასრულებლად მოსწავლეებს სჭირდებათ მასალის სიღრმისეული გააზრება, მაღალი სააზროვნო უნარების აქტივირება. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია **რჩევა: სასურველია, ჩასწორდეს ცნებების ჩამონათვალი ინგლისური ენის IX კლასის კურიკულუმში . (მოცემულია ქვეცნებები)** **რჩევა: მიუხედავად იმის, რომ შერჩეულ შუალედურ დავალებებში და ასევე სხვადასხვა აქტივობებში იკითხება, რომელი ქვეცნებებისკენ მიემართება შერჩეული შუალედური დავალებები, სასურველია, მოხდეს მათი შეტანა კურიკულუმის ჩარჩოს შესაბამის _ „ქვეცნებების“ სვეტში. (ინგლისური ენა, სამივე საფეხური)** **რჩევა: ზოგ კლასში (მაგ, რუსული ენა V,VI კლასი) შერჩეული შუალედური დავალებები არ მიემართება სამიზნე ცნებაზე „კულტურათა დიალოგი“, თუმცა კურიკულუმიდან (კონტექსტ-მაგალითები, შედარების მაგალითები, რესურსები და ა.შ) ჩანს, რომ აღნიშნული**

	ცნება იფარება სხვადასხვა აქტივობებში. სასურველია,ამ სამიზნე ცნებისთვისაც დაიგეგმოს შესაბამისი შემოქმედებითი ტიპის შუალედური დავალება. **რჩევა: სასურველია, კონტექსტ_მაგალითები გაიმიჯნოს ქვეცნებების/საკითხების/ქვესაკითხებისგან (ინგლისური ენა, სამივე საფეხური)**
ესთეტიკური აღზრდა	დაწყებითი,საბაზო და საშაულო საფეხურის მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმის ჩარჩო და მასში წარმოდგენილი სამიზნე ცნება/ცნებები, რესურსები, კომპლექსური დავალების იდეები იძლევა შესაძლებლობას განსაზღვროს მოსწავლის ჩართვა სწავლ-სწავლების პროცესში, რომელიც მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიანი მიზნების მიღწევისაკენ. შემოქმედებითი ტიპის დავალებები თავისი ბუნებით მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს მოსწავლეების უნარების გამომუშავებას და აქტივირებას, რომელიც ამავდროულად წაახალისებს მოსწავლეს,რომელიც გაცნობიერებს საკითხს,ცნებებსა და მოკლევადიან მიზნებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების კურიკულუმები ითვალისწინებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს. შემოქმედებითი დავალებების პირობები ისეა შედგენილი, რომ განუვითაროს მოსწავლეებს შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარები, ხელს უწყობს კომუნიკაციასა და თანამშრომლობას. მაგალითად, მე-3 კლასის კურიკულუმში კომპლექსური დავალების იდეაა ,,ზეპირი მსჯელობის გამართვა წიგნის შესახებ ნასწავლი ტექსტების საფუძველზე“- აკაკი წერეთლისა და ხალხური გამოცანების შესწავლისას ; მე-5

	კლასში- მოთხრობის გაგრძელების დაწერა რ. ინანიშვილის ,,მირანდუხტის“ მიხედვით; მე-7 კლასში- ,,პერსონაჟის ხედვის კუთხის შეცვლა თხრობით ნაწარმოებში“ - ნ. ლორთქიფანიძის მოთხრობაზე „დადიანის ასული და მათხოვარი“ დაყრდნობით; მე-10 კლასში- საინფორმაციო-ანალიტიკური სტატიის დაწერა გაზეთისთვის- გიორგი მერჩულის ნაწარმოების, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ , აღმოჩენისა და მნიშვნელობის შესახებ. დასახელებული შემოქმედებითი დავალებების იდეები ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების განხორციელებას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
მათემატიკა	სკოლის მათემატიკის კათედრა იყენებს მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას კურიკულუმის დაგეგმვისას და ის, ესგ-ს შესაბამისად, მიემართება მათემატიკის სამივე სამიზნე ცნებისკენ: მათემატიკური მოდელი, კანონზომიერება და ლოგიკა. თითოეული სამიზნე ცნება ჩაშლილია ქვეცნებებად. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმები ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განვითარებას. კურიკულუმში თემის ფარგლებში მუშავდება გრძელვადიანი სამიზნე ცნებები და მასთან დაკავშირებული ქვეცნებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავებასა და პრაქტიკაში ეფექტურ გამოყენებას. ყველა თემას ახლავს შუალედური დავალების პირობა - საკლასო, ან სასკოლო სპორტული ფესტივალი, რომლის განხორციელებითაც მასწავლებელი უზრუნველყოფს გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას. წარმოდგენილი კურიკულუმები ქმნის საფუძველს ხარისხიანი და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესისთვის. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია **რჩევა: დაწყებით საფეხურზე მეტი მრავალფეროვნებისთვის სასურველია, რომ მასწავლებელმა კურიკულუმებში დაამატოს თემები ჯანსაღი ცხოვრების თემატიკით (მაგ: ჰიგიენა, დღის რეჟიმი, ჯანსაღი კვება).**

	რჩევა: საბაზო და საშუალო საფეხურზე მეტი მრავალფეროვნებისთვის სასურველია, რომ მასწავლებელმა კურიკულუმებში დაამატოს თემები, მაგ: მაგიდის ჩოგბურთი (სკოლას აქვს მაგიდის ჩოგბურთის აღჭურვილობა), ლაშქრობა, ოლიმპიზმი, მავნე ჩვევები.
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების მასწავლებელის მიერ შედგენილი კურიკულუმი წარმოადგენს სწავლის ისეთი გარემოს დაგეგმვის საფუძველს, სადაც ძირითადი ყურადღება გაწვდილია მოსწავლის საჭიროებებსა და ინტერესებზე. საგნობრივი პროგრამა ემყარება ეროვნულ სასწავლო გეგმას და მიზნად ისახავს სავალდებულო თემების შესაბამისად სწავლა-სწავლების პროცესის მოქნილ და პრაქტიკულ ორგანიზებას. დავალებები კონტექსტუალურად ახლოსაა მოსწავლის ყოველდღიურ გარემოსთან, ამავე დროს ემთხვევა მათი ასაკობრივი შესაძლებლობებისა და ინტერესების დიაპაზონს. კურიკულუმი ითვალისწინებს აქტიური სწავლის პრინციპებს და ხელს უწყობს ინდივიდუალურ მიდგომებზე დაფუძნებული სწავლების განხორციელებას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა, ქართული, ბუნება), საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად, განსაზღვრულია სავალდებულო თემები, თემებში საკითხების საშუალებით მუშავდება სამიზნე ცნებები. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ესგ -ის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგები, ყველა სამიზნე ცნება და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები. მასწავლებლებმა წარმოადგინეს შემოქმედებითი დავალების პროდუქტები, განხორციელებული პროექტები, ღონისძიებები რომლებიც გათვლილია გრძელვადიან მიზნებზე და მოსწავლეებში ავითარებს კრიტიკულ და შემოქმედებითი აზროვნებას.

	სკოლის მიერ დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი ბუნებისმეტყველების,მათემატიკის, სახელმწიფო ენის პერველი, მე-2, მე-3, მე-4 კლასების კურიკულუმების ჩარჩოები ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე. საათობრივი დატვირთვა, სემესტრული განაწილება, კურიკულუმებში ასახული შუალედური მიზნები, აგრეთვე, საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების მიღწევას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, გრიფირებული სახელმძღვანელოები, თვალსაჩინოებები გამოიყენება სასწავლო პროცესში. აგრეთვე კურიკულუმებში უხვად არის წარმოდგენილი ონლაინ რესურსები და ვიდეო ბმულები. გარდა ამისა, მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ რესურსებად იყენებენ თავისივე შექმნილ ან სახელდახელოდ მომზადებულ რესურსებს, ვინაიდან საბუნებისმეტყველო საგნები იძლევა ყოველდღიური ყოფა-ცხოვრებიდან ნივთების რესურსებად გამოყენების საშუალებას. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერების საგნობრივ კურიკულუმებში, რესურსების სახით წარმოდგენილია ძირითადი გრიფირებული სახელმძღვანელო და/ან განათლების

	სამინისტროს მიერ აღიარებული სახელმძღვანელო და დამატებითი რესურსების ბმულები, თუმცა ყველა თემაში არ გვხვდება დამატებითი რესურსები. პედაგოგებს გააზრებული აქვთ სწავლა-სწავლების პროცესში მრავალფეროვანი რესურსების მნიშვნელობა და კათედრაზე აქტიურად მუშაობენ მათ დახვეწასა და გაუმჯობესებაში. ინდიკატორი შესაბამისობაშია **რჩევა: სასურველია დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ დამატებით რესურსებს დაემატოს მრავალფეროვანი და საინტერესო ციფრული რესურსების ბმულები, რომელიც მჭიდრო ურთიერთკავშირში იქნება სამიზნე ცნებასთან და მის შედეგებთან, თემასთან, საკითხთან და გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრას აქვს შესაძლებლობა და მზაობა სწავლების სამივე საფეხურზე გამოიყენოს შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსები , შესაბამისად უზრუნველყოს მათ მიერ გაწერილ კურიკულუმში მოაზრებული შედეგების მიღწევა. უცხოურ ენებში წარმოდგენილ დოკუმენტაციაში , კურიკულუმის ჩარჩოებში, ისევე როგორც განხორციელებული აქტივობის დამადასტურებელ დოკუმენტაციაში, ასახულია სასწავლო რესურსები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმში, სამივე საფეხურზე, მკაფიოდ არის წარმოდგენილი რესურსები, რაც შესაბამისობაშია მოცემულ თემატურ ერთეულებთან, რომლებიც განაპირობებს კურიკულუმით განსაზვრული მიზნების მიღწევას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის სამივე საფეხურის კურიკულუმებში პედაგოგების მიერ გაწერილი რესურსები მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი და მიზნობრივ შესაბამისობაშია

	სასწავლო პროცესთან. დოკუმენტებში ძირითად სახელმძღვანელოსთან ერთად ასახულია დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები როგორც ტექსტური, ისე სხვა სახის: ილუსტრაციები, გრაფიკული მაორგანიზებლები, ელექტრონული საგანმანათლებლო ლინკები, ანიმაციები, აუდიო და ვიდეო მასალები. (მაგალითად, მე-8 კლასში ნოდარ დუმბაძის ,,ბოშების" შესწავლისას კურიკულულუმში დამატებით რესურსებად მითითებულია რეჟისორ ლეილა გორდელაძის მხატვრული ფილმი „ჩემი ბოშები"; გიორგი ჯაფარიძის ,, ვეფხისა და მოყმის მითოსური სამყარო," შოთა არაბულის-,,იარებოდა დედაი". მე-10 კლასის კურიკულუმში სასულიერო მწერლობის კარგად გააზრებისთვის მასწავლებლები იყენებენ დამხმარე ტექსტებს: ანა კალანდაძე- „როცა სხივი..." მანანა ჩიტიშვილის , „ისევ მოვა მალე მარტი;"ასევე , სთავაზობენ მოსწავლეებს ელექტრონულ რესურსებს : http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/saskolo/anakalandadze.htm https://www.aura.ge/101-poezia/6539-manana-chitishvili--isev-mova-male-marti.html აჩვენებენ მოსწავლეებს დოკუმენტური ფილმს „შუშანიკის წამება" (ნაწილი 1-2-3), (ნაწილი 4); ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ სკოლას საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს, უზრუნველყოს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სასწავლო-საგანმანათლებლო რესურსებით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

მათემატიკა	სკოლა იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს (პირველ-მეორე კლასებში-„მე მიყვარს მათემატიკა“, მესამე-მეოთხე კლასებში - ინტელექტის გამომცემლობა, გოგიშვილი-ვეფხვაძის ავტორობით, მე-5 - მე-6 კლასებში ირინა რუხაძის ატორობით, გამომცემლობა „პედგოგიკა“, საბაზო საფეხურზე- საგინაშვილის ავტორობით და საშუალო საფეხურებზე გამომცემლობა „ინტელექტი“, გოგიშვილი-ვეფხვაძის ავტორობით) და დამატებით სახელმძღვანელოებს, ასევე, ელექტრონულ რესურსებს, ბმულების სახით, რომელთა გამოყენება უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სპორტი	კურიკულუმებში თითოეული თემის ფარგლებში მასწავლებელს შერჩეული აქვს მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსები და წარმოდგენილი აქვს ლინკების სახით: სახელმძღვანელოები, მეთოდური გზამკვლევები და პრეზენტაციები. აღნიშნული რესურსები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტურ დაგეგმვასა და წარმართვას. რესურსების შერჩევა განხორციელებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. ამასთანავე, გამოყენებული რესურსები პირდაპირაა მიმართული კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევაზე და ქმნის ხელსაყრელ გარემოს პრაქტიკული უნარების განვითარებისათვის. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების საგნის კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმში წარმოდგენილია დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები, მათ შორის, ციფრული და ინტერნეტრესურსები, ვიდეომასალა და ვიზუალური დემონსტრაციები. სასწავლო პროცესში მასწავლებლები აქტიურად იყენებენ მრავალფეროვან რესურსებს, ასევე საჭიროების შემთხვევაში თავად ქმნიან დამატებით სასწავლო მასალებს, რაც ხელს უწყობს საკითხების

	უკეთ გააზრებას და პრაქტიკული უნარების განვითარებას. რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და ინტერესების გათვალისწინებით და უზრუნველყოფს როგორც თეორიული ცოდნის, ისე პრაქტიკული კომპეტენციების განვითარებას. აღნიშნული რესურსების გამოყენება ხელს უწყობს სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებას, ზრდის მოსწავლეთა ჩართულობასა და მოტივაციას და უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნებისა და შედეგების ეფექტურად მიღწევას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა,ქართული,ბუნება), კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები: გრიფირებული სახელმძღვანელოები, განათლების სამინისტროს მოწოდებული და ინტერნეტ რესურსები მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს შეესაბამება. შერჩეული რესურსები სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობასა და ცოდნის კონსტრუირებას უწყობს ხელს. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების, თანდართული დოკუმენტაციის და ვიზიტის დროს გადმოგზავნილი გამოთხოვილი დოკუმენტაციის შესწავლისას დასტურდება, რომ, კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსები, უზრუნველყოფენ მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ზემოთ აღნიშნული რესურსები ასახულია დაწყებითი საფეხურის საგანმათლებლო პროგრამის სახელმწიფო ენის,მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების პერველი, მე-2, მე-3, მე-4 კლასების კლასების კურიკულუმების კონცეპტუალურ ჩარჩოებში. აღსანიშნავია, რომ ბუნებისმეტყველების საგნის სწავლება შეუძლებელია ექსპერიმენტების და ცდების გარეშე, ამიტომ საბუნებისმეტყველო საგნის კურიკულუმის კონცეპტუალურ ჩარჩოებში, სასწავლო რესურსების სვეტში აუცილებელია მკაფიოდ აისახოს ვირტუალური

	ან/და ვიდეო ან/და მარტივი რეალური (ცოცხალი) ექსპერიმენტები და ცდები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია **რჩევა : სკოლის დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების ყველა კურიკულუმში, სასწავლო პროცესის მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე მკაფიოდ ასახონ მარტივი რეალური ან/და ვიდეო ან/და ვირტუალური ექსპერიმენტები ან/და ცდები, განისაზღროს დასახელება, მისი მათი სახეობა (მაგალითად, ლაბორატორიული, პრაქტიკული, სადემონსტრაციო, საშინაო) და ნუმერაცია.**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ინკლუზიური განათლების კონცეფციის თანახმად, სკოლაში შექმნილია გარემო, რომელშიც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. თითოეული მოსწავლე განიხილება როგორც უნიკალური თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. მასწავლებლები იცნობენ დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპებს და სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლის წინარე ცოდნას, ამოსავალ წერტილად მიიჩნევენ მის ინტერესებს და მიყვებიან განვითარების დინამიკას. გამოყენებულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები როგორც სახელმძღვანელოების ასევე სხვადასხვა ბმულებისა და ინტერნეტრესურსების სახით. კომპლექსური დავალებების პირობები მრავალფეროვანი პროდუქტის შექმნის შესაძლებლობებს იძლევა: პოსტერის, პრეზენტაცის,ბუკლეტისა და

	სხვა. შესაბამისად, სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს, რომელიც გულისხმობს მოსწავლეზე ადაპტირებული სასწავლო გარემოს შექმნას როგორც ფორმით ასევე შინაარსით. სასწავლო პროცესში დიფერენცირებული სწავლება ხდება მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. ინდიკატორი შესაბამისობაშია
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კათედრამ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა(ისტორია, მოქალაქეობა, გეოგრაფია), განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები, სადაც ჩანს დიფერენცირებული მიდგომები, პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციას იყენებენ მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენაში, რაც დიფერენცირებულ მიდგომებში ეხმარებათ. პედაგოგებს აქვთ მზაობა მრავალფეროვანი აქტივობებით და რესურსებით მაქსიმალურად შეძლონ მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება და აქტიურ ჩართულობა სწავლა-სწავლების პროცესში. ინდიკატორი შესაბამისობაშია **რჩევა: სასურველია დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე, სადიაგნოსტიკო წერისათვის შეარჩიონ სადიაგნოსტიკო წერის ინსტრუმენტი, დაუკავშირონ სამიზნე ცნებებს, ქვეცნებებს და გააკეთონ ანალიზი, რომელსაც შემდეგ გამოიყენებენ მოსწავლეთა შესაძლებლობების დადგენაში და ინდივიდუალურ მიდგომებში.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ სამივე საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციით (კურიკულუმის ჩარჩოები, გაკვეთილის გეგმები, მასწავლებელთა რეფლექსიები/ანგარიშები) ირკვევა, სწავლა-სწავლების პროცესი არის ინკლუზიური. უცხოური ენის სწავლების პროცესში გამოყენებულია დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიები . უცხოური ენების მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა სწავლის

	სტილს, მზაობას,ინტერესს,შესაბამისად ახდენენ როგორც დავალებების პირობის, ასევე აქტივობების მოდიფიცირებას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილ დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ ნათლად გამოკვეთილია სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის სტატეგია და პრინციპები. სსსმ მოსწავლეთა დავალებები მორგებულია მათ შესაძლებლობებს. შემოქმედებითი ტიპის დავალებებში გათვალიწინებულია საგნობრივი სტანდარტით მოცემული სამიზნე ცნებება და მასზე დაყრდნობით შექმნილი ადაპტირებული დავალებები, რაც ქმნის მოსწავლის სრულფასოვან შეფასებას. აქტივობები/აქტივობათა პაკეტი მორგებულია მოსწავლის საჭიროებებს და ამოცანებს, რაც საშუალებას იძლევა მაქსიმალურად დამუშავდეს სტანდარტით მოცემული თემები და გრძელვადიანი მიზნები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას სკოლა ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს. დოკუმანტაციის შესწავლისას და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა სასწავლო პროცესის კონკრეტულ მოსწავლეთა საჭიროებებზე , ინტერესებსა და შესაძლებლობებზე ორიენტირება. ცხადია, რომ ეს საკითხი პრიორიტეტულია და სკოლის მართვის პოლიტიკაა თვალყური ადევნოს სსსმ მოსწავლეთა ინდ გეგმების შემუშავებას. სკოლამ მე-7 კლასის კონკრეტული მოსწავლისათვის წარმოადგინა არა მარტო ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, არამედ ადაპტირებული კომპლექსური დავალება თემაზე ,, ადამიანური თვითგანცდის სილამაზე“, აღწერილი სტრატეგიები, აქტივობები და რესურსები გვიჩვენებს, რომ მორგებულია მოსწავლის შესაძლებლობებსა და ინდივიდუალურ საჭიროებებს. გარდა ამისა, შემოქმედებითი დავალებები, რომლებიც გაწერილია სამივე საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში, უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

მათემატიკა	სასწავლო პროცესში მასწავლებლები იყენებენ ისეთ რესურსებს და მეთოდებს, რომლებიც მათ ეხმარებათ სწავლის პროცესი იყოს ინკლუზიური, დიფერენცირებისათვის იყენებენ დიფერენცირების ინსტრუმენტებს, ასევე - მოდიფიცირებულ დავალებებს. ეს კი უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინკლუზიურობას და დიფერენცირებულობას სასწავლო პროცესში. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია ინკლუზიური პრინციპების საფუძველზე და სრულად ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურებებს. მასწავლებელი აცნობიერებს, რომ თითოეული მოსწავლე განსხვავდება ფიზიკური შესაძლებლობებით, ინტერესებით, ნიჭითა და სწავლის სტილით. ფიზიკური აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების დროს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დიფერენცირებული მიდგომების გამოყენებას, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას. მასწავლებელს შეუძლია დავალებების მოდიფიცირება და მათი ადაპტირება მოსწავლეთა უნარებისა და საჭიროებების შესაბამისად. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების სწავლების პროცესში აქტიურად გამოიყენება დიფერენცირებული და ინდივიდუალური მიდგომები, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების ინკლუზიურობას და მოსწავლეთა მრავალფეროვანი საჭიროებების დაკმაყოფილებას. გაკვეთილზე დაგეგმილი აქტივობები ეყრდნობა მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებსა და უნარებს. შემოქმედებითი ხასიათის დავალებები შედგენილია სხვადასხვა მზაობის მოსწავლეთათვის, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს, ჩაერთონ აქტიურად და წარმატებით შეასრულონ ამოცანები საკუთარი ტემპითა და სტილში. ამგვარი მიდგომა ქმნის თანაბარ, მრავალფეროვან და მოტივაციის ამაღლებაზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს, სადაც

	თითოეული მოსწავლე თავს ხედავს მნიშვნელოვან მონაწილედ. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის, I-IV კლასების (მათემატიკა, ქართული, ბუნება), კურიკულუმში თვალნათლივ ჩანს, რომ მასწავლებლებს გააჩნიათ ინკლუზიური/დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება. პედაგოგებთან გასაუბრებამაც დაადასტურა, რომ მასწავლებლები მოსწავლეების საჭიროებიდან გამომდინარე, ახდენენ დავალების პირობისა და სასწავლო აქტივობის მოდიფიცირებას სწავლის სტილის გათვალისწინებით. მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში, იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დასტურდება, რომ სასწავლო პროცესის განხორციელებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და შესაძლებლობები. მოწოდებული დოკუმენტაციის მიხედვით აღსანიშნავია, რომ სკოლას დაწყებით საფეხურზე აქვს პედაგოგიური რემედიაციის გამოცდილება, რომელიც მიზნად ისახავდა მოსწავლეთა აკადემიური წარუმატებლობის თავიდან აცილებას. ინტერვიუდან ირკვევა, რომ კურიკულუმის კორექციის პროცესი იყო ბავშვის ტემპზე ადაპტირებული და სპეციალური მეთოდების გამოყენებაზე დაფუძნებული. აღსანიშნია ის, რომ წარმოდგენილ დოკუმენტებში, როგორიც არის შემოქმედებითი ბუნების დავალებები და შემაჯამებელი დავალებებში, არ იკვეთება მკაფიო ტენდენცია დიფერენცირებული ან/და ინკლუზიური მიდგომების მიმართ. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

	რჩევა : დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა, ქართული, ბუნება)საგნების შემაჯამებელ, სადიაგნოსტიკო, შემოქმედებითი ბუნების დავალებების პირობების შექმნისას მკაფიოდ გამოკვეთონ დიფერენცირებული ან/და ინკლუზიური მიდგომები.

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმებში გათვალისწინებულია როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებლი შეფასების რუბრიკები და სქემები. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს განმავითარბელი შეფასების ეფექტიანობაზე როგორც დაწყებით, ასევე საბაზო და საშუალო საფეხურებზე. შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებეში ასახულ სამიზნე ცნებებთან. ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეები ჩართული არიან შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში რაც ზრდის სანდოობას. მოსწავლეები და მათი მშობლები წინასწარ ეცნობიან კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკებს რაც გამჭირვალობის დასტურია .სამართლიანობისა და ობიექტურობის თვალსაზრისით კომპლექსური დავალების წარდგენის შემდეგ მოსწავლეები აფასებენ ერთმანეთს და მსჯელობენ ერთმანეთის გასაუმჯობესებელ შედეგებზე. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ გადმოგზავნილია საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების ზოგადი, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიიდან ჩანს ,რომ სკოლის შეფასების სისტემა ძირითადად

	ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. გასაუბრებისას გაირკვა, რომ პედაგოგებს გააზრებული აქვთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თემის ფარგლებში განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების დახვეწას და გამოყენებას. ინდიკატორი შესაბამისობაშია **რჩევა: სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე აქტიურად გამოიყენოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლების თითოეული საგნის სტანდარტის შედეგების ინდიკატორებიდან გამომდინარეობს და გრძელვადიან მიზნისკენ ანუ სამიზნე ცნებისკენ მიემართება. სავალდებულო თემაში დასამუშავებელ კომპლექსური ბუნების დავალებას თან ახლდეს შეფასების რუბრიკები.**
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე უცხოური ენების კათედრის მიერ მოწოდებულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები როგორც ერთი თემის ფარგლებში გაწერილ შუალედურ მიზნებზე, ასევე ზოგადი რუბრიკები. ნათლად ჩანს, კათედრას აქვს მზაობა , განახორციელოს შეფასება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია **რჩევა:** სასურველია, შუალედური მიზნისთვის შეიქმნილ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში სრულად წარმოდგენილ იქნას დავალების პირობები.
ესთეტიკური აღზრდა	კათედრის მიერ წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის

	შედეგების ინდიკატორებთან. განმავითარებელი რუბრიკა ეფუძნება საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებს, რომელშიც მკაფიოდ იკითხება მოსწავლის დონეები, რაც შესაძლებლობას ქმნის შეფასება მასზე დაფუძნებით განახორციელდეს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის სამივე საფეხურზე სკოლა იყენებს როგორც განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელ შეფასებებს. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ზოგადი ხასიათის შეფასების რუბრიკები, როგორებიცაა : ესეს, პრეზენტაციის, თხზულების, ზეპირი და წერილობითი პრეზენტაციების , დისკუსიის, აგრეთვე, ჯგუფური მუშაობის. მათ , აგრეთვე შემუშავებული აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები კონკრეტულ თემებთან მიმართებაში (მაგალითები: განმავითარებელი შეფასების რუბრიკა მე-3 კლასში ტექსტის, ,,ორი ამხანაგის“ , სწავლებისას; მე- 8 კლასში ესეს-,, ვინ არის დამნაშავე მარიტას დაღუპვაში“- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა; ზეპირი მსჯელობის-,,სინანული და მიტევება იგავში „უძღები ძე“-განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა; მე-10 კლასის კომპლექსური დავალების პირობას თემაზე- ,,მიჯნურობა „ვეფხისტყაოსანსა“ და „ჩვენს დროში“- ახლავს შეფასების რუბრიკა); ინტერვიუსას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კათედრის წევრები ერთად ამუშავებენ შეფასების კრიტერიუმებს, რომლებსაც კონკრეტულ თემებთან მიმართებაში წერენ რუბრიკებში. მათ მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები მიემართება გრძელვადიან მიზნებსა, ითვალისწინებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს და ეყრდნობა თემატურ კონტექსტებს. წარმოდგენილი დოკუმნტაციიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვს, რომ მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო

	გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
მათემატიკა	წარმოდგენილია მოსწავლეთა შეფასების სხვადასხვა ტიპები, როგორიცაა ჰოლისტური და ანალიტიკური შეფასების ცხრილები, პრეზენტაციის და საშინაო დავალების შეფასების კრიტერიუმები, საკლასო მუშაობის შეფასების რუბრიკები, თუმცა ეს შეფასებები ზოგადი ხასიათისაა და აკლია კონკრეტიკა კონტექსტის მიხედვით (გამონაკლისების გარდა). ვიზიტის დროს მასწავლებლები საუბრობდნენ, რომ იყენებენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს, მოთხოვნის საფუძველზე სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიმართულა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ კრიტერიუმებზე, თუმცა აკლია აკადემიურობა. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია **რჩევა: სასურველია, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები წარმოდგენილი იყოს უფრო აკადემიურ სტილში. სკოლის მიერ წარმოდგენილ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს აკლია აკადემიურობა, რაც გულისხმობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული რუბრიკების გამოყენებას, რომელთა გაცნობაც მოსწავლეებს უვითარებს მეტაკოგნიტურ უნარებს, ხოლო მასწავლებელს საშუალებას აძლევს, ობიექტურად შეაფასოს მოსწავლის ცოდნა და უნარები.**
სპორტი	მასწავლებელმა წარმოადგინა განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელიც დეტალურად აღწერს მოსწავლისგან მოსალოდნელ შედეგებს როგორც კონკრეტული ქვესაკითხის, ასევე შესაბამისი სამიზნე ცნების ჭრილში. აღნიშნული ინსტრუმენტი უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სიზუსტესა და გამჭვირვალობას და ეხმარება მასწავლებელს სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და მართვაში. ამასთანავე, წარმოდგენილი იყო შეფასების ზოგადი კრიტერიუმები და მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა

	თემისთვის „კალათბურთი“. თვითშეფასების კომპონენტი ხელს უწყობს მოსწავლის მიერ საკუთარი პროგრესის გააზრებას, ზრდის მის მოტივაციას და აძლევს შესაძლებლობას, მიზანმიმართულად იმუშაოს საკუთარი შედეგების გაუმჯობესებაზე. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია **რჩევა: ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელმა წარმოადგინა რამდენიმე შეფასების რუბრიკა, სასურველია, რომ შეიმუშაოს შეფასების რუბრიკები კურიკულუმში წარმოდგენილი ყველა თემისთვის სამიზნე ცნებებზე დაფუძნებით სამივე საფეხურზე, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემატურობასა და თანმიმდევრულობას.**
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების პედაგოგებმა წარადგინეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სავალდებულო თემებზე შექმნილი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მოიცავს როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების ელემენტებს. შეფასების რუბრიკები ასახავს მოსწავლეთა პროგრესს და დეტალურად აჩვენებს მათ შესაბამისობას საგნობრივი შედეგებისა და საფეხურის ინდიკატორებთან. წარმოდგენილი რუბრიკები შექმნილია ტექნოლოგიების სტანდარტების გათვალისწინებით და ემსახურება გრძელვადიანი საგნობრივი მიზნების მიღწევას. სკოლამ წარმოადგინა კონკრეტულ დავალებებზე მორგებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც დაფუძნებულია საგნობრივ სამიზნე ცნებებზე და უკავშირდება სწავლა-სწავლების მეთოდურ რეკომენდაციებს. წარმოდგენილი მასალები სრულ შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან და ხელს უწყობს სწავლების პროცესში მოსწავლეთა უნარების მრავალმხრივ განვითარებას. ინდიკატორი დაკმაყოფილებული
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა,ქართული,ბუნება), კურიკულუმში წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები ნაწილობრივ შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, გრძელვადიან მიზნებთან და

	მეთოდიკურ ორიენტირებთან. გადმოგზავნილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საჭიროებს დახვეწას. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და საგნების მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის I თავის - „სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების კონცეპტუალური და ადმინისტრაციული საკითხების“ მე-7 მუხლით გასაზღვრულ მოსწავლის შეფასების სისტემის პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია **რჩევა : დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების სახეელმწიფო ენა,მათემატიკა,ბუნებისმეტყველების სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე, სრულად მოამზადონ დაწყებითი საფეხურის შერჩეული თემების ან/და საკითხების/ქვესაკითხების მიმართებით, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები; შეიქმნას შემაჯამებელი დავალებების შეფასების სქემა, სადაც შეფასების კრიტერიუმები, ორიენტირებული იქნება სამიზნე ცნებებზე.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- საგნობრივი კურიკულუმები
- კათედრის ოქმები
- შეფასების რუბრიკები

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ვერიფიკაციის მექანიზმი
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025-2026)
- კათედრის სამოქმედო გეგმა,
- კათედრის ანგარიში
- განხორციელებული პროექტები
- სსსმ მოსწავლის დოკუმენტაცია;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.
- სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურის და ინვენტარის ფოტომასალა;
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- *განხორციელებული შემოქმედებითი ღონისძიებების ამსახველი ფოტომასალა;*
- განხორციელებული პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია და რეფლექსიები.
- ჩატარებული ღონისძიებების რეფლექსიები
- ადაპტირებული კომპლექსური დავალება მე-7 კლასის სსსმ მოსწავლისთვის;
- ვერიფიკაციის მექანიზმთან დაკავშირებული დოკუმენტაცია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რასაც სკოლა ადასტურებს საგნობრივი კურიკულუმებით, შეფასების რუბრიკებით, სასწავლო პროცესის შეფასების, ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების დოკუმენტაციით. კომპლექსური თუ შემოქმედებითი დავალებები თავისთავად იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. მასწავლებლებთან საუბარში გამოიკვეთა, რომ

	წინარე გამოცდილება ეხმარებათ მათ, მაქსიმალურად ჩართონ მოსწავლეები პროცესში, ამასვე გაითვალისწინებენ აქტივობებში. კათედრა მთავარ როლში აყენებს მოსწავლეებს, მის საჭიროებებსა და ინტერესებს, შესაძლებლობას აძლევს ჩართული იყოს სკოლაში მიმდინარე ნებისმიერ შემოქმედებით პროცესში. კათედრის მიერ მხარდაჭერილია მოსწავლეთა იდეები, სასკოლო პროექტები, ღონისძიებები. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ავტონომიურობა და აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა. კურიკულუმში მოცემული შუალედური მიზნები, საშუალებას მისცემს მოსწავლეს, რომ განიხილოს ახალი ინფორმაცია, გადაამუშაოს და შეიმეცნოს იგი ახალ კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცეს და ახსნას იდეები თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ ზეპირი სახით. კურიკულუმის გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ და გამოხატავენ მზაობას, რომ მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას ხელი შეუწყონ აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად და ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და პრინციპებს. სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სამოქმედო გეგმა,ოქმები და ანგარიში, სადაც ჩანს, რომ პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, კერძოდ, ესწრებიან ერთმანეთს, აძლევენ კონსტრუქციულ უკუკავშირს, განიხილავენ კათედრაზე და შედეგებს ითვალისწინებენ კურიკულუმის შემუშავების დროს. ინდიკატორი შესაბამისობაშია

უცხოური ენები	სკოლის უცხოური ენების კათედრის მიერ სამივე საფეხურზე წარმოდგენილია მესამე თაობის ე.ს.გ.-ს გრძელვადიანი მიზნების მიხედვით გაწერილი კურიკულუმის ჩარჩოები, სადაც შემოთავაზებული შუალედური მიზნები, თემები/ქვეთემები, ძირითადი საკითხები , ძირითადი და დამატებითი რესურსები უზრუნველყოფს, რომ მოსწავლეს ჩამოუყალიბდეს მკვიდრი წარმოდგენები პირველი და მეორე უცხოური ენების გრძელვადიანი მიზნებთან (შედეგებსა და სამიზნე ცნებებთან) მიმართებით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია **რჩევა: თუმცა წარმოდგენილია საგნების საათობრივი დატვირთვის ცხრილი, სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოებშიც აისახოს საგნის სემესტრული საათობრივი დატვირთვა, ასევე საათების სავარაუდო რაოდენობა თემების მიხედვით. (რუსული/ინგლისური ენები; სამივე საფეხური)**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია სამივე საფეხურზე, რასაც ამყარებს ინტერვიურების პროცესის დროს მიღებული ინფორმაცია, კათედრა სასწავლო პროცესს წარმათავს შემოქმედებითი ტიპის დავალებებით, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეების ჩართულობას შემოქმედებით პროცესში, კურიკულუმის განვითარების დოკუმენტში ასახული და დაგეგმილი შემოქმედებითი დავალებები მოსწავლეს აძლევს საშუალებას შეიძინოს ცოდნა, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. სასწავლო გეგმის ორიეინტირია - მოსწავლეთა შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარება. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი შეესაბამება სასკოლო კურიკულუმს. ეს კარგად ჩანს სკოლის მტკიცებულებებში. სახელმწიფო ენის

	კათედრამ წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომელშიც აღწერილია დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებები. მაგალითად: მე-2 კლასში მოსწავლეთა ნამუშევრების ამსახველი ფოტომასალა (კომიქსი თემაზე ,,რწყილი და ჭიანჭველა", რომელაც ახლავს მასწავლებლის რეფლექსია), მე- 8 კლასში ბავშვების მიერ შექმნილი პრეზენტაციები (ნოდარ დუმბაძის ,,ბოშების" შესწავლისას); ილია ჭავჭავაძის 188 -ე წლის იუბილესთან დაკავშირებული ღონისძიება მე-8- დან მე-11- მდე კლასების მოსწავლეთა და მასწავლებელთა ჩართულობით(ახლავს მასწავლებლის რეფლექსია); გამოყენებული აქტივობები, მეთოდები და სასწავლო რესურსები ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი შეესაბამება სასწავლო კურიკულუმს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
მათემატიკა	სასწავლო პროცესი დაგეგმილია და მიმდინარეობს წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად, მასწავლებლებმა იმუშავეს დაგეგმილი კომპლექსური დავალებების შესრულებაზე, რის დასტურადაც კათედრამ წარმოადგინა რესურსები, რომელიც განაპირობებს დაგეგმილის მიხედვით სასწავლო პროცესის განხორციელებას. ასევე, იმ შემოქმედებითი დავალების ნიმუშები, რომელთა განხორციელებაც კურიკულუმების მიხედვითაა დაგეგმილი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სპორტი	სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებში სხვადასხვა თემასთან დავალების პირობად განსაზღვრულია შიდა სასკოლო და საკლასო სპორტული ფესტივალების ორგანიზება. წარმოდგენილი დოკუმენტაციით და მასწავლებელთან ინტერვიუს საფუძველზე გაირკვა, რომ განხორციელდა სპორტული ფესტივალები, მათ შორის „მძლეოსნობასა" და „მინიფეხბურთში" სამივე საფეხურზე. ამასთან, სკოლის

	დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებმა წარმატებით იასპარეზეს მუნიციპალურ თამაშებში - „მხიარული სტარტები“. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი ემთხვევა წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმს და სრულად ასახავს მის მოთხოვნებსა და მიზნებს. ინტერვიუებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დასტურდება, რომ სწავლება მიმდინარეობს კურიკულუმით განსაზღვრული თემების, აქტივობებისა და დავალებების მიხედვით. სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმში გათვალისწინებული რესურსები, კომპლექსური და შემოქმედებითი დავალებები, რაც უზრუნველყოფს დაგეგმილი მიზნების ეტაპობრივ მიღწევას. ამრიგად, სასწავლო პროცესი ტექნოლოგიების საგანში არის თანმიმდევრული, მიზანმიმართული და შესაბამისობაშია სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ მოთხოვნებსა და მიზნებთან. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა,ქართული,ბუნება) სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად, მიემართება გრძელვადიან მიზნებზე, კონკრეტულად კი სტანდარტით მისაღწევ შედეგებზე, სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. პედაგოგებთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ სასწავლო პროცესის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება უნიკალურია და შესაბამისად გეგმავენ ცვლილებები შეიტანონ და უფრო მოქნილი გახადონ კურიკულუმები. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების, დოკუმენტაციის და პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭროებებზე. სკოლაში ვიზიტის დროს, მასწავებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები წლის განმავლობაში საჭიროებისამებს ცვლიან სასკოლო კურიკულუმებს, ასევე საჭიროებიდან გამომდინარე გეგმავენ ინდივიდუალური საჭიროების მქონე მოსწავლეებთან აქტივობებს. ასევე, საჭიროების შემთხვევაში ცვიან და ამატებენ სასწავლო რესურს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დოკუმენტაცია ადასტურებს და გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებელებს სიღმისეულად აქვთ გააზრებული, რომ შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. განმავითარებელი და განმაზღვრელი შეფასების რუბრიკები, მასწავლებლისა და მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკები, საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, რომ იცოდნენ თუ როგორ ფასდება მათი ცოდნა და შეფასების სქემა მკაფიო და დახვეწილია. ამას გარდა რუბრიკა ცხადყოფს, რომ ფასდება მხოლოდ ის, რისი შეფასებაც მიზნობრივადაა განზრახული, რას შეფასების სისტემას კიდევ უფრო ვალიდურს, ობიექტურს, გამჭირვალეს, სანდოსა და ობიექტურს ხდის. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აგრეთვე ისაუბრეს, რომ მოსწავლეებმა ყოველთვის წინასწარ იციან პროექტის შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალებებში საკითხების მაქსიმალური ქულები, საშინაო დავალების შეფასების ინსტრუმენტები; სკოლაში მოქმედებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი დებულების მიხედვით შემუშავებულია ვერიფიკაციის ინსტრუმენტი, ვერიფიკატორთა გუნდი ბრძანებით დამტკიცებულია. ვერიფიცირება ხდება კათედრის წევრების მიერ, აფასებენ სხვა კათედრის

	პედაგოგეგბს. სკოლაში დანერგილია და თანამშრომლობითი გარემოთი დასტურდება, რომ მუშაობს კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტიც. ინდიკატორი შესაბამისობასია.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, სადაც დეტალურად არის გაწერილი რა ინფორმაციას უნდა მოიცავდეს პედაგოგის მიერ გაწერილი შეფასების ინსტრუმენტი. კათედრას წარმოდგენილი აქვს ზოგადი, განმსაზღვრელი და განმავითარებელი (საბაზო და საშუალო საფეხურის) შეფასების რუბრიკები, თუმა ნაკლებად ჩანს სამიზნე ცნებებთან მჭიდრო კავშირი.პედაგოგებს აქვთ მზაობა დახვეწონ შეფასების სისტემა. ინდიკატორი შესაბამისობაშია **რჩევა: სასურველია დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე კათედრამ შეიმუშაოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებზე(სამიზნე ცნება) და დაეფუძნება ვალიდურობის, გამჭირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ სამივე საფეხურზე წარმოდგენილია განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები როგორც ზოგადი, ასევე კონკრეტული საკითხებისათვის, ასევე შერჩეული შუალედური მიზნებისთვის . შეფასების რუბრიკებს მასწავლებლები წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით , უცხოური ენების მიერ განხორციელებული შეფასებები არის სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია საფეხურის განსმაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ზოგადი ნიმუში საგნებისათვის - სახვითი და გამოყენებით ხელოვნებისთვის და მუსიკისთვის. რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიანი მიზნს, შესაბამისად, შეფასება არის ვალიდური და სანდო. რუბრიკები მორგებულია კომპლექსურ/შემოქმედებით ტიპის დავალებებზე და ასევე საშუალებას გვაძლევს მიმდინარე შეფასების პროცესში იყოს გამოყენებული. რუბრიკები სრულად მორგებულია ესგ-ის საგნობრივ სტანდარტს, როგორც განმსაზღვრელ ასევე განმავითერებლ შეფასების სისტემისათის, რაც უზრუნველყოფს შეფასების გამჭირვალეობას, ობიექტურობას და სამართლიანობას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრამ სამივე საფეხურზე წარმოადგინა განამვითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები, რომლებიც უზრუნველყოფს სამართლიან, ობიექტურ, ვალიდურ და გამჭირვალე შეფასებას. ცალ- ცალკე და დეტალურადაა გაწერილი სხვადასხვა ტიპის წერილობითი ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები ქულებთან ერთად. ზოგად რუბრიკებთან ერთად წარმოდგენილია კონკრეტული თემების შეფასებები,სამიზნე ცნებების შესაბამისად (მაგალითად, დაწყებითის კლასების კურიკულუმებში პირველიდან მე-6 კლასის ჩათვლით, შემოთავაზებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ცნებებზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები); პედაგოგებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ ყოველთვის ცდილობენ ობიექტურ უკუკავშირს და ეფექტიანად იყენებენ შეფასების ინსტრუმენტებს სასწავლო პროცესში. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
მათემატიკა	სკოლამ წარმოადგინა შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი. მათემატიკის კათედრამ წარმოადგინა სხვადასხვა სახის შეფასების რუბრიკების ნიმუშები და მოცემული თემის

	შესაბამისი ტესტები, სადაც დავალებებს მინიჭებული აქვს ქულები. გასაუბრების დროს მათემატიკის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შემაჯამებელ დავალებებში თითოეულ დავალებას(საკითხს) უწერია მაქსიმალური ქულა, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალეობას და ობიექტურობას. ასევე, სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებსაც აკლია მკაფიოობო და მოცემული თემის შეფასების ესგ-თი განსაზღვრულობა. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია **რჩევა: სასურველია, მათემატიკის კათედრამ შექმნას შეფასების ისეთი რუბრიკები, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმითაა განსაზღვრული, რაც მათ მეტ აკადემიურობას შესძენს.**
სპორტი	მასწავლებელმა წარმოადგინა განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელიც გრძელვადიან მიზნებზეა ორიენტირებული და საშუალებას აძლევს მასწავლებელს დააკვირდეს მოსწავლის პროგრესსა და განვითარების დინამიკას და მიაწოდოს უკუკავშირი. ამასთანავე, წარმოდგენილი იყო შეფასების ზოგადი კრიტერიუმები და მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა თემისთვის „კალათბურთი“. მასწავლებელი იყენებს განმავითარებელი კომენტარის ისეთ საშუალებებს როგორიცაა: სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, მოსწავლის თვითშეფასება. მასწავლებელი წინასწარ აცნობს მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმებს, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვრვალობასა და სამართლიანობას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების საგანში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ეფუძნება საგნობრივ სტანდარტს, მიემართება შედეგების ინდიკატორებსა და გრძელვადიან მიზნებს, რაც უზრუნველყოფს შეფასების სიზუსტესა და სანდოობას. კურიკულუმში გათვალისწინებული შეფასების კრიტერიუმები დაკავშირებულია კონკრეტულ დავალებებთან და სამიზნე

	ცნებებთან, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების ობიექტურად შეფასებას. მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებულნი შეფასების კრიტერიუმების შესახებ, რაც ზრდის პროცესის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას. სასწავლო პროცესში გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასება, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა პროგრესის მუდმივ მონიტორინგს და ინდივიდუალური განვითარების მხარდაჭერას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა,ქართული,ბუნება) მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა რუბრიკებით. სკოლაში შემუშავებულია და დამტკიცებულია შეფასების ვერიფიკაციის წესი, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა შეფასების დაგეგმვის, განხორციელების პროცესისა და მტკიცებულებების შემოწმებასა და დასკვნის შემუშავებას. ვერიფიკაციის წესის მიხედვით შეფასება ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალეობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საჭიროებს დახვეწას.დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა,ქართული,ბუნება), საგნობრივ კათედრებზე შერჩეულ დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას სკოლა თავად უზრუნველყოფს. კათედრებზე აქტიურად ხდება მასწავლებლებს შორის სასწავლო რესურსების ვალიდურობის გაზომვა, მისი მოდიფიცირება და განახლება. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. სკოლაში არსებობს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს ინფორმაციას: შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმების, მიზანის და ამოცანების, პრინციპების,

	მიმართულებების, შეფასების სისტემის, ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირების და განხორციელების სიხშირეს შესახებ. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი. ვერიფიკაციის მექანიზმის მიზანია, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში შეფასების პროცესი იყოს სანდო, ვალიდური (დასაბუთებული), ობიექტური, გამჭვირვალე და სამართლიანი. შეფასების სისტემის ვერიფიკაციისათვის სკოლამ შესაძლოა გამოიყენოს სხვადასხვა ინსტუმენტი. მაგალითად: მოსწავლეთა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება (სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული); სემესტრული/წლიური გამოცდების ჩატარება, როდესაც მოსწავლეს შეუძლია მოითხოვოს სემესტრული ნიშნის ამაღლება, თუ მიღებული ქულა არ აკმაყოფილებს; კლასის / მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირება; სკოლაში ვიზიტის დროს, გამოიკვეთა, რომ ამ ეტაპამდე, მოსწავლეებს არასდროს მიუმართავთ ნიშნის ამაღლების მიზნით სკოლისთვის, ასევე გამოიკვეთა, რომ სკოლაში არ დაუწერიათ დიაგნოსტიკური წერები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. კათედრები ინახავენ მოსწავლეთა ნამუშევრებს საქაღალდეებში. ასევე დამრიგებები ავსებენ მოსწავლეების პირად საქმეებს, სადაც წერენ მოსწავლეების წლიურ შეფასებებ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- ვერიფიკაციის წესი
- შეფასების რუბრიკები
- კათედრის ოქმები
- გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა(2025-2026)
- შეფასების რუბრიკები (განმავითარებელი და განმსაზღვრელი)
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- განხორციელებული პროექტები
- სსსმ მოსწავლეების ინდ .გეგმები
- შემაჯამებელი ტესტის ნიმუშები.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსებით. გარდა სახელმძღვანელოებისა სკოლა აქტიურად იყენებს ინტერნეტში გავრცელებულ ონლაინ რესურსებს, ვიდეო რგოლებს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს მათ მიერ დამზადებულ რესურსებზეც, საბუნებისმეტყველო საგნების უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ყოველდღიური მოხმარების ნებისმიერი ნივთის გამოყენებაა შესაძლებელი ქიმიის, ბიოლოგიისა და ფიზიკის რესურსებად, რაზეც ინტერვიუს დროს საუბრობდნენ მასწავლებლები. ინდიკატორი შესაბამისობაში.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს რომ, გრიფმინიჭებული და/ან განათლების სამინისტროს მიერ აღიარებული სახელმძღვანელოების გარდა იყენებენ სამუშაო რვეულებს, რუკებს, გლობუსებს, პოსტერებს, დამატებითი ელექტონული სასწავლო რესურსებს (ონლაინ ვიდეო რესურსები, ძირითადად YouTube-ზე განთავსებული ბმულები). სკოლას აქვს კომპიუტერები, ინტერნეტი, პროექტორი, რაც საინტერესო და მრავალფეროვანი გაკვეთილების ჩატარებას უწყობს ხელს. პედაგოგებს აქვთ მზაობა და მცდელობა ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით შექმნან და გაამდიდრონ სწავლა-სწავლების პროცესი დამხმარე სასწავლო რესურსებით. ინდიკატორი შესაბამისობაშია
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ სამივე საფეხურზე შერჩეული დამხმარე სასწავლო რესურსები ემსახურება კურიკულუმით დასახული მიზნების მიღწევას. შერჩეული დამხმარე სახელმძღვანელოების ჩამონათვალი კათედრას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტის სახით, ხოლო ბმულები მოწოდებულია უმეტეს კურიკულუმის ჩარჩოებში. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია **რჩევა: თუმცა კათედრას წარმოდგენილი აქვს დამხმარე სასწავლო რესურსების ამსახველი დოკუმენტაცია, სასურველია, ზოგ კურიკულუმის ჩარჩოშიც მითითებული იქნას დამხმარე სასწავლო რესურსები. (ინგლისური, V, IX, X, XI კლასები)**

ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესი ეფუძნება გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, სამინისტროს მიერ შემუშავებულ მასალებს (მუსიკა), მრავალფეროვან რესურსებს და ვიდორგოლებს,რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და იმთავითვე მორგებულია თემატურ ერთეულბზე. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის ყველა საფეხურზე სკოლა იყენებს როგორც ძირითად, ისე დამხმარე სასწავლო რესურსებს, რომლებიც გაწერილია კურიკულუმებში. კათედრის მიერ გადმოგზავნილი განხორციელებული აქტივობების ამსახველი დოკუმენტაციის მიხედვით, ნათლად ჩანს, რომ მასწავლებლები, გარდა ძირითადი რესურსებისა (გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები), ახორციელებენ სასწავლო პროცესს დამატებითი სასწავლო რესურსების დახმარებით (მაგალითად: იყენებენ დამატებით ტექსტებს, ელექტრონულ რესურსებს, სასწავლო თემებთან შესაბამის ისეთ ვიდეო და აუდიო მასალას, როგორებიცაა ანიმაციური, დოკუმენტური თუ მხატვრული ფილმები; სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებებს- რუკებს, პლაკატებს, მოდელებს და სხვ), რაც მოსწავლეთა შედეგებსა და მათ ნამუშევრებზე აისახება. პედაგოგებმა ინტერვიუს დროსაც ისაუბრეს იმაზე, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეებთან ერთად მიზნობრივად იყენებენ მათ. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
მათემატიკა	სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სკოლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსების გამოყენებით, სკოლამ წარმოადგინა გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხა, ასევე დამხმარე რესურსების ჩამონათვალი, ეს რესურსები კი საკითხების მიხედვითაა მითითებული (ბმულებითაა ჩაშენებული) კურიკულუმებში. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

	რჩევა: სასურველია, დაწყებითი და საბაზო საფეხურების კლასების კურიკულუმებში მითითებული ბმულების სათაურებში ჩანდეს, თუ რა საკითხს შეეხება ეს რესურსი, რაც გაამარტივებს საკითხის შესაბამისი რელევანტური რესურსის პოვნას.
სპორტი	კურიკულუმებში თითოეულ თემასთან ინტეგრირებულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი ლინკების სახით: სახელმძღვანელოები, გზამკვლევები მასწავლებლებისთვის, პრეზენტაციები, რომელიც მოიცავს სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმოშობის ისტორიასა და ძირითად წესებს. აღნიშნული რესურსები მიზანმიმართულად არის შერჩეული და უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობას. მასწავლებელი მრავალფეროვანი რესურსებით ხელს უწყობს სწავლების პროცესის გამრავალფეროვნებას და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გარემოს შექმნას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ტექნოლოგიები	კურიკულუმით განსაზღვრული რესურსი აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. მასწავლებლები სისტემატურად იყენებენ ძირითად რესურსებს, მათ შორის ინტერნეტში ხელმისაწვდომ დამატებით მასალებს, ვიდეოგაკვეთილებსა და ვიზუალურ დემონსტრაციებს, რაც აძლიერებს სწავლის მოტივაციას და იძლევა სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვის საშუალებას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ გამოყენებული დაწყებითი საფეხურის ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები შეესაბამება და ხელს შეუწყობს მოსწავლეებს მასალის გააზრებაში. კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები, რაც უზრუნველყოფს საფეხურების ფარგლებში სტანდარტებით განსაზღვრული მიზნების და შედეგების მიღწევას. ძირითადი სასწავლო რესურსი კანონმდებლობით დადგენილი წესით გრიფირებულია. მიუხედავად ამისა, კურიკულუმების ნაწილი დამატებით ითხოვს რესურების შევსებას და მის გამრავალფეროვნებას, მაგალითად,

	ასახული უნდა იყოს ბეჭდური და ელექტრონული წყაროები, ვიდეო და ფოტო მასალები, სადემონსტრაციო ვიდეო ექსპერიმენტი, საგანმანათლებლო პლატფორმების რესურსები / ინტერაქტიული სიმულაციები რესურსები, სპეციალურად შექმნილი მასწავლებლების რესურსები, მაგალითად, პრეზინტაციები, მოკლე თემატური რიდერები, სპეციალურად შექმნილი დიდაქტიკური მასალები (ცხრილები, გრაფიკული ხელსაწყოები), მეთოდური მითითებები, პრაქტიკული ან ლაბორატორიული სამუშაოების თანდართული დოკუმენტები (პროტოკოლები, ინსტრუქციები) და ა.შ. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია **რჩევა : დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები შეივსოს მრავალფეროვანი დამატებითი რესურსებით, მაგალითად, კონკრეტული ბეჭდური და ელექტრონული, ვიდეო და ინტერნეტ რესურსები, საგანმანათლებლო პლატფორმის სიმულაციები, მასწავლებლის მიერ სპეციალურად შექმნილი რესურსები და სხვა, აგრეთვე, განიხილონ რესურსების ბიბლიოგრაფიული გაფორმების ერთიანი მიდგომა.**

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საგნობრივი კათედრები განიხილავენ და პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე ამტკიცებენ სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ დამხმარე სასკოლო სასწავლო რესურსების ვალიდურობას. სკოლას არ წარმოუდგენია ცალკე რესურსების ვალიდაციის დოკუმენტი, თუმცა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ შეიმუშავებენ. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

	რჩევა: სასურველია სკოლამ შეიმუშაოს და იხელმძღვანელოს დამხამრე რესურსების ვალიდაციის წესის დოკუმენტით.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმების რესურსებში ასახულია სახელმძღვანელოები, რომლებიც გრიფმინიჭებულია და/ან აღიარებულია განათლების სამინისტროს მიერ. კათედრას აქვს მზაობა თავად შექმნან დამატებითი რესურსები და მოახდინონ მათი ვალიდაცია შესაბამისი წესით. ინდიკატორი შესაბამისობაშია
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ სამივე საფეხურზე შერჩეული დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდურობა უზრუნველყოფილია. კათედრის მიერ წარმოდგენილია შესაბამისი დოკუმენტაცია.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი რესურსების ვალიდაცია ხორციელდება სკოლის მიერ შემუშავებული წესის შესაბამისად, რომელიც ეფუძნება სკოლის მიერ შემუშავებულ ვალიდაციის წესს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სახელმწიფო ენა	დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას სკოლა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, ეს კარგად ჩანს როგორც სკოლის სასწავლო გეგმაში, ისე მათ მიერ საფეხურების მიხედვით წარმოდგენილ კურიკულუმების განვითარების მეთოდოლოგიაში. სახელმწიფო ენის ყველა კურიკულუმში მითითებულია თემებთან შესაბამისი დამხმარე რესურსები: სხვადასხვა ლიტერატურა, საგანმანათლებლო ელექტრონული ლინკები; სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, სურათები, პლაკატები, მოდელები და სხვ.); ფილმები, ისტორიული ძეგლები და სხვ. პედაგოგების მიერ წარმოდგენილია რეფლექსიები გვიჩვენებს , რომ მათი გამოყენება ხდება მიზნობრივად და შედეგიანად; ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

მათემატიკა	სკოლამ წარმოადგინა კათედრის მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია(კათედრის მუშაობის ოქმი და კათედრის სამუშაო გეგმა), საიდანაც ჩანს, რომ მათემატიკის კათედრაზე ხდება რესურსების შერჩევა და მათი ვალიდაცია. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სპორტი	მასწავლებელთან ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სასწავლო წლის დასაწყისში კათედრის სხდომაზე ხორციელდება საგანმანათლებლო რესურსების განხილვა და შერჩევა წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. შერჩეული რესურსები ორიენტირებულია მოსწავლეთა სწავლის უნარების განვითარებასა და სასწავლო მასალის სიღრმისეულ გააზრებაზე. ვალიდაციის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რესურსის შესაბამისობას მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებთან, სანდოობასა და ხარისხს. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსების რელევანტურობასა და ეფექტურობას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების საგანში სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. რესურსების შერჩევა ხორციელდება მასწავლებელთა მონაწილეობით და შეთანხმებით, რაც უზრუნველყოფს მათი შესაბამისობას საგნობრივ კურიკულუმთან და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. დამხმარე რესურსები შეირჩევა მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. გამოყენებული რესურსები მიზნობრივად არის დაკავშირებული სასწავლო თემებთან და ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანად წარმართვას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა,ქართული,ბუნება), საგნობრივ კათედრებზე შერჩეულ დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას სკოლა თავად უზრუნველყოფს შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე(დანართი 2) კათედრებზე აქტიურად ხდება მასწავლებლებს შორის სასწავლო რესურსების ვალიდურობის გაზომვა,

	მისი მოდიფიცირება და განახლება. დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე. გამოიყენება ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. **რჩევა:სკოლამ ან კათედრამ დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში შეიმუშაოს უკუკავშირის მექანიზმი მასწავლებლებისა და მოსწავლეებისგან დამატებითი რესურსების გამოყენების შესახებ, რათა მოხდეს პრობლემის დროულად იდენტიფიცირება და გაუმჯობესება.**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი მატერიალური რესურსით, სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, თუმცა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სკოლას აქვს ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის საკლასო ოთახები, რომლებშიც არასრულადაა განთავსებულია შესაბამისი ინვენტარი, ჭურჭელი და თვალსაჩინოებები.

	სკოლა მცირეკონტიგენტიანია, ჰყავს ერთი ფიზიკის მასწავლებელი, ერთი ქიმიის და ერთი ბიოლოგიის, რომელიც ასწავლის ბუნებისმეტყველებასაც, პედაგოგები მოტივირებული არიან რომ წელს დაადასტურონ კომპეტენცია შეთავსებულ საგანებშიც. პედაგოგების კვალიფიკაცია იძლევა საშუალებას რომ სკოლაში სასწავლო პროცესი წარიმართოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისად, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის გამოყენებით. ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია. **რეკომენდაცია: სკოლას შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქვს საბაზო და საშუალო საფეხურზე ლაბორატორიის მოწყობა 2026 წლის 31 დეკემბრამდე და რეკომენდირებულია ამ დრომდე სკოლამ შეძლებისდაგვარად უზრუნველყოს საკლასო ოთახების არამარტო შესაბამისი თვალსაჩინოებებით, არამედ ჭურჭლით, რეაქტივებით, მოდელებითა და ხელსაწყოებით აღჭურვა, რათა ეფექტიანი სწავლების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა სკოლაში კვლევითი კომპონენტის გაძლიერებაა, რომელიც თავისთავად გაზრდის მოსწავლეთა მოტივაციას ხოლო სასწავლო პროცესს გახდის სტანდარტით მისაღწევ შედეგზე ორიენტირებულს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით, ძირითადი მატერიალური რესურსი სახელმძღვანელოები და სამუშაო რვეულებია. ისინი გამდიდებულია ტექსტებით, რუკებით, ცხრილებით, დიაგრამებით, რომლებიც სხვადასხვა სააზროვნო და შემოქმედებითი უნარების განვითარებას უწყობს ხელს. სკოლას ასევე აქვს რუკები, გლობუსები, თვალსაჩნოება, ინტერნეტი, პროექტორი, კომპიუტერები, რომლებიც დამატებითი ციფრული რესურსების გამოყენების საშუალებას იძლევა. ინდიკატორი შესაბამისობაშია

უცხოური ენები	სამივე საფეხურზე შესაძლებელია იმ მატერიალური რესურსების გამოყენება, რომელიც განსაზღვრულია კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების სრულყოფილად მისაღწევად. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პედაგოგებთან ინტერვიურების პროცესში მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ მოსწავლისთვის ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ასევე, არამატერიალური რესურსებით სარგებლობის შესაძლებლობა. კათედრა აღჭურვილია ინვენტარით, (დინამიკები, პროექტორი, ლეპტოპი, რეპროდუქციები და ა.შ..) ,რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სასწავლო პროცესში, ხოლო პედაგოგს აძლევს საშუალებას საინტერესოდ და მრავლაფეროვნად წარმოაჩინონ შესასწავლი თემა/საკითხი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის სამივე საფეხურზე სკოლას უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას შესაბამისი მატერიალური რესურსებით. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ დაწყებით საფეხურზე ქართულ ენასა და ლიტერატურას კონკრეტული პედაგოგები ასწავლიან, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურებზე - სხვა პედაგოგი, თუმცა ისინი სისტემეტურად თანამშრომლობენ და ერთმანეთს უთანხმებენ ყველა საჭირო საკითხსა თუ რესურსს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
მათემატიკა	სასწავლო პროცესში კათედრა იყენებს ისტ ტექნოლოგიების კაბინეტს, რომელიც სკოლის მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისია. ასევე, წარმოდგენილია მოსწავლეების შექმნილი რესურსები, მაკეტები, პოსტერები, რომლებიც მრავალჯერადი გამოყენებისაა, რაც სწავლა-სწავლების პროცესს უფრო

	საინტერესოს და სახალისოს ქმნის და ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ამაღლებას და მათი შემოქმედებითი უნარების განვითარებას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სპორტი	სკოლას აქვს განახლებული შიდა სპორტული დარბაზი. სპორტის დარბაზის იატაკი დახაზულია და დამონტაჟებულია კალათბურთის ფარები. დარბაზს აქვს გასახდელები გოგონებისთვის და ვაჟებისთვის. დარბაზში აქვთ ყველა საჭირო სპორტული ინვენტარი: მაგიდის ჩოგბურთი, კონუსები, მოედნის მოსანიშნი ფიშკები, სახტუნაო, რგოლები, ბარიერები, ჭადრაკის კომპლექტი და ბურთები. როგორც მასწავლებელმა ინტერვიუზე აღნიშნა, სასკოლო სპორტული ფესტივალების განსახორციელებლად ასევე იყენებს სკოლის ახლოს მდებარე კეთილმოწყობილ ღია სპორტულ მოედანს, რომელიც შემოღობილია, ბუნებრივი ბალახის საფარი აქვს და დამონტაჟებულია ფეხბურთის კარები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების საგანში კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესისთვის საჭირო ინფრასტრუქტურასა და რესურსებს, რაც შეესაბამება მოსწავლეთა რაოდენობას და ხელს უწყობს მათი აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფას. სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები და ტექნიკური რესურსები ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის და ეფექტურად გამოიყენება პრაქტიკული და შემოქმედებითი დავალებების განხორციელებისას. აღნიშნული გარემო ქმნის პირობებს, რომ სწავლა-სწავლების პროცესი წარიმართოს ხარისხიანად და კურიკულუმით განსაზღვრული მიზნები მიღწეულ იქნას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასკოლო დოკუმენტაციის შესწავლის და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა,რომ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი

	მატერიალური რესურსებით, შესაბამისი სასკოლო სივრცით, საკლასო ოთახები მოწესრიგებულია და სასკოლო აქტივობებისათვის აუცილებელი რესურსებით არის აღჭურვილი. მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი ინტერესების შესაბამისად გამოიყენონ რესურსები.პედაგოგებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში შესაძლებელია მარტივი ექსპერიმენტების ჩატარება, ასევე არის სადემონსტრაციო პლაკატები, მულაჟები და სხვა ვიზუალური საშუალებები. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები გაკვეთილებზე იყენებენ ვირტუალური ლაბორატორიების საშუალებებს და ანხორციელებენ ვიდეო ექსპერიმენტების ჩანაწერებს, რაც უზრუნველყობს კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი საჭირო ადამიანური რესურსი. მასწავლებლების პირადი საქმეების გაცნობისა და ელექტრონული პორტალის შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ სკოლაში ყველა მასწავლებელს აქვს სერთიფიკატი იმ საგანში/საგნობრივ ჯგუფში, რასაც სკოლაში ასწავლის. ყველა მასწავლებელებელს აქ შესაბამისი სტატუსი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- საგნობრივი კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები

- ვერიფიკაციის წესი
- დირექტორის შეფასებისა და ურთიერთშეფასების ანგარიშები
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა(2025-2026)
- კათედრის ანგარიში

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად

სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების პროცესი მიმდინარეობს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. დაკვირვებას ახორციელებენ როგორც დირექტორი, ასევე კათედრის თავმჯდომარეები. საგნის მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ ყოველ სემესტრში მიმდინარეობს გაკვეთილებზე დაკვირვება, შედეგების ანალიზი და შემდგომი კორექციის დაგეგმვა. მიღებული ინფორმაცია აისახება კათედრის ანგარიშებში, რაც უზრუნველყოფს პროცესის უწყვეტ კონტროლს და ხარისხის ამაღლებას. როგორც 2.1.1.1 კომპონენტის აღწერით ნაწილში აღვნიშნე, მაშავერას საჯარო სკოლის მიერ გადმოგზავნილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგის დოკუმენტს აწერია სკოლის დასახელება და დოკუმენტის სახელწოდება, შემუშავების თარიღი (2025 წელი), თუმცა დოკუმენტი ბრძანებით არ არის დამტკიცებული სკოლის დირექტორის მიერ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების ან გაუმჯობესების საჭიროებები მუშავდება კათედრებზე, შემუშვებულია ღონისძიებების გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს პრობლემის დროულად აღმოფხვრას. კათედრის ხელმძღვანელები მასწავლებლებთან ერთად, კათედრის შეხვედრებზე განიხილავენ მიღებული მონაცემების ანალიზს და უზრუნველყოფს შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას. პროცესი აგებულია უკუკავშირის მექანიზმზე, რაც საშუალებას აძლევს პედაგოგებს მიზნობრივად დახვეწონ საკუთარი საქმიანობა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

როგორც ვიზიტის დროს მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, მონიტორინგი გამოიყენება მასწავლებელთა მხარდაჭერის მიზნით. მონიტორინგის მთავარი მიზანია მასწავლებელთა პროფესიული განვითარება. სკოლა უზრუნველყოფს როგორც კათედრის შიგნით, ასევე კათედრებს შორისაც გამოცდილების გაზიარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- კურიკულუმი;
- საგნობრივი კათედრის ოქმები;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელი ტიპის შეფასებებს. საგნობრივი კათედრების კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია განსმაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ზოგადი ნიმუში საგნებისთვის. რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიანი მიზნს, შესაბამისად, შეფასება არის ვალიდური და სანდო. რუბრიკები ასევე, მორგებულია კომპლექსურ/შემოქმედებით ტიპის დავალებებზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

კათედრებმა სამივე საფეხურზე წარმოადგინა განამვითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები, რომლებიც უზრუნველყოფს სამართლიან, ობიექტურ, ვალიდურ და გამჭირვალე შეფასებას. ცალ- ცალკე და დეტალურადაა გაწერილი სხვადასხვა ტიპის წერილობითი ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები ქულებთან ერთად. ზოგად რუბრიკებთან ერთად წარმოდგენილია კონკრეტული თემების შეფასებები, სამიზნე ცნებების შესაბამისად (მაგალითად, დაწყებითის კლასების კურიკულუმებში პირველიდან მე-6 კლასის ჩათვლით, შემოთავაზებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ცნებებზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები); პედაგოგებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ ყოველთვის ცდილობენ ობიექტურ უკუკავშირს და ეფექტიანად იყენებენ შეფასების ინსტრუმენტებს სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

სკოლის მიერ შემუშავებულ ვერიფიკაციის დებულებაში აღწერილია, რომ მოსწავლის შეფასების ვერიფიკაცია ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით:

- გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის (შემდეგი სახის პროდუქტებზე დაყრდნობით: ესე,პროექტი, პრეზენტაცია, ლაბორატორიული კვლევა, რეფერატი, და ა.შ) ვერიფიკაცია;
- მოსწავლისათვის მიცემული დავალების შეფასების პროცესის (ფაქტობრივი გარემოებები, მიცემული დრო, გარემო, წინასწარ ინფორმირება და ა.შ) ვერიფიკაცია;
- მტკიცებულებების (მოსწავლის მიერ შესრულებეული პროდუქტის) ვერიფიკაცია.

აქედან გამომდინარე, სკოლა შეფასებისას იყენებს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

შეფასებისას ყურადღება ექცევა მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. მასწავლებლები იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს და უზრუნველყოფენ სამართლიან, სანდო და გამჭვირვალე შეფასებას. რუბრიკები სრულად მორგებულია ესგ-ის საგნობრივ სტანდარტს, როგორც განმსაზღვრელ, ასევე განმავითერებლ შეფასების სისტემისათის, რაც უზრუნველყოფს შეფასების გამჭირვალეობას, ობიექტურობას და სამართლიანობას. ვერიფიკაციის წესის მიხედვით შეფასება ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალეობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვერიფიკაციის დებულება;
- საგნობრივი კურიკულუმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლაში ვიზიტის დროს, საგნის მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს, მათ აღნიშნეს, რომ ყოველი სასწავლო წლის ბოლოს კათედრები ატარებენ თვითშეფასებას, განიხილავენ თავიანთ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს. ამის მიხედვით, საჭიროებების გათვალისწინებით ხდება შემდეგი სასწავლო წლის დაგეგმვა. კათედრის შეხვედრის ოქმებში იკითხება, რომ განიხილავენ აქტუალურ საკითხებს და შესაბამისად გეგმავენ მომდევნო სასწავლო წელს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

რჩევა : სკოლას არ აქვს დოკუმენტურად გაწერილი თუ როგორ ხდება ზუსტად კურიკულუმის განვითარებაზე ზრუნვა, შესაბამისად კარგი იქნება თუ გაიწერება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის წარმოების დოკუმენტი. re

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს

როგორც სკოლის მასწავლებებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, კათედრები ახდენენ შინაარსობრივი და მეთოდოლოგიური რევიზიის განხორციელებას, ცვლიან ან ამატებენ აქტივობებსა და რესურსებს საჭიროებების შესაბამისად. სკოლას კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების პროცესი ერთწლიან სამოქმედო გეგმაში აქვს გაწერილია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- კათედრის ოქმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

15.05.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: